



ສາທາລະນະລັດ  
ລາວ ລາຍລະອຽດ

ລົງຈາກພົມບົມ  
ຂໍ້ມູນລາຍລະອຽດ  
ເຈົ້າຕົກ  
ລົງຈາກພົມບົມ  
ຂໍ້ມູນລາຍລະອຽດ  
ເຈົ້າຕົກ

---



# සේනානුවල ප්‍රතිචාර සේනානුවල ප්‍රතිචාර සේනානුවල කැපෙනු ලබයි සේනානුවල ප්‍රතිචාර සේනානුවල ප්‍රතිචාර සේනානුවල ප්‍රතිචාර

මොදුක්‍රේද සෞජනීයෝග මහ ප්‍රේස්ස් මොදුක්‍රේද  
සූචිත සේනානුවල ප්‍රතිචාර සේනානුවල  
1964 ජූලි 26 දෙනු ලද අංක

451 . 32 . 2 .

යානිලියුදු සේනානුවල  
සෞජනීයෝග සේනානුවල  
සේනානුවල - 1964



34 C 4 (C41)  
347 (47.922)  
b 323





ეროვნული  
განაკვეთი

## კ ე ნ ტ ბ ი

საქართველოს საპარტა სოციალისტური  
რესპუბლიკისა

საქართველოს სსრ საკუთარებათ დებართლი  
კომისიის განაკვეთის განაცხადის

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რეს-  
პუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენის:

1. დამტკიცებულის საქართველოს სსრ სამოქალაქო  
სამართლის კოდექსი და სამოქმედოდ შემოღებულ  
იქნეს 1965 წლის 1 ივნისიდან.

2. დაეცალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბ-  
ჭოს პრეზიდიუმის დაადგინოს საქართველოს სსრ  
სამოქალაქო სამართლის კოდექსის სამოქმედოდ  
შემოღების წესი და დაამტკიცოს საქართველოს  
სსრ იმ საფინანსდებლო იქტების ნუსხა, რომელი-  
მც ძალადაკრიტულად უნდა ჩაითვალოს საქარ-  
თველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის  
სამოქმედოდ შემოღებისთვის დაკავშირდათ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო  
პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. კოდაინი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო  
პრეზიდიუმის მდგრადი ჟ. კოდაინი

ამილაძი

1964 წლის 26 დეკემბერი.

სამჭირო კაცობრშია, რომლის შემაღებლობაშიც  
საქართველოს სამჭირო სოციალისტური რესპუბ-  
ლიკა შედის სხვა მოვალეობის ჩემპიუნიტეტობის  
ნებაყოფლობითი ვაერთობანებისა და თანასწორ-  
უფლებიანობის საფუძველზე, — მიაღწია სოცია-  
ლიზმის სრულ და საბოლოო გამარჯვებას და პე-  
ვიდა კომუნისტური საზოგადოების გამლილი მიე-  
ნებლობის პერიოდში.

ამ პერიოდის მიოყანებია: კომუნიზმის შატე-  
რიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, რომელიც უწ-  
რენებულების მატერიალურ და კულტურულ სი-  
კეთება სოცხეეს და საზოგადოებისა და მისი ყვე-  
ლა მოქალაქის მოთხოვნილებათა უფრო და უფრო  
სრულ დამაყოფილებას; სოციალისტურ საზოგადო-  
ებრივ ურთიერთობათა თანდათანობით გამოდავშნა  
კომუნისტურ ურთიერთობებად; მოქალაქეთა აღ-  
ზრდა შალალი კომუნისტური იდეულობის, შრომი-  
სა და საზოგადოებრივი შეურნეობისაღმი კომუ-  
ნისტური დამოიდებულების სელისკეთებით.

კომუნიზმის გამლილი მშენებლობის პერიოდის  
ეკონომიკის საფუძვლად უძევს წარმოების საშუალე-  
ბათა სოციალისტური საკუთრება სახელმწიფო (მა-  
რენთო-სახალხო) და საეთლმცეურნეო-კომისაციური

საკუთრების ფორმით. საკულტურნეო-კულტურული  
ული საკუთრება თვეისა ხსნათით თანდაციანობით  
დაუახლოედება საერთო-ხეხალხო საკუთრების, კი  
დრე წარმოების საშუალებათა ერთიანების კულტურული  
ხეხალხო კომუნისტური საკუთრება მას ჩამოყალიბ  
დება.

პირადი საკუთრება გამომდინარეობს სოციალის-  
ტური საკუთრებიდან და მოქალაქეთა მოთხოვნი-  
ლებების დაკმაყოფილების ერთ-ერთი საშუალებაა.  
კომუნიზმის უკან წინსვლის კვალობაზე მოქალაქე-  
თა პირადი მოთხოვნილებანი უფრო მეტად დაკმა-  
ყოფილდება სახოვალოებრივი ფონდების ხარჯზე.

კომუნისტურ მშენებლობაში მთლიანად უნდა  
გამოვიყენოთ სასაქონლო-ფულადი ურთიერთო-  
ბა იმ თავის შინაარსის შესაბამისად, რომელიც მას  
იქვე გეგმიან სოციალისტურ მეფებრებაში და ავ-  
ტორუე ეკონომიკის განვითარების ისეთი დიდმნი-  
შენელოვანი საშუალებებით, როგორიცაა საშეუტნეო  
ანგარიში, ფული, ფასი, თვითღირებულება, მოვე-  
ბა, ვაჭრობა, კრედიტი, ფინანსები. კომუნიზმის  
მშენებლობას საკულტურული უძევს მოქალაქეთა, სა-  
წარმოთა, კოლმეტურნეობათა და სხვა საშეუტნეო  
ორგანიზაციითა მატერიალური დაინტერესებულო-  
ბის პრინციპით.

საბჭოთა სახელმწიფო ახორციელებს სარ კავ-  
შირის ხეხალხო მეურნეობის განვითარების გე-  
გმიან ხელმძღვანელობას დემოკრატიული ცენტრა-  
ლიზმის ლენინური პრინციპის შესაბამისად. მის-

თანაა დაკავშირებული საწარმოთა და სხვა სამცემო  
ნერ თრგანიზაციათა ოპერატორი და ქადაგის  
დამოუკიდებლობისა და ინიციატივის შემდგრივი  
განმტკიცება და განვითარება მათი უფლიშების ჩატარების  
ფაზისთვის ერთიანი სახალხო-სამეცნიერო უკუნისა და  
ჩირჩივისა.

საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობა იწესრი-  
გებს ქონებრივ ურთიერთობას, რომელიც განვი-  
რობებულია კომუნისტურ შენებლობაში სასაქონ-  
ლო-ფულადი ფორმის გამოყენებით და მასთან და-  
კავშირებულ პირად ასევინებრივ ურთიერთობას.

საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობა უაღრი-  
საღ მნიშვნელოვანი სამუალებაა კანონიერების შემ-  
დგომი განმტკიცებისა სოციალისტურ თრგანიზა-  
ციათა და მოქალაქეთა ქონებრივ ურთიერთობათა  
სფეროში და მათ უფლებათა დაცვის ღამეში.

საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობა მოწო-  
დებულია ექტიურად შეუწყოს ხელი კომუნიზმის  
შენებლობის მოცავების გადაწყვეტის. იგი ხელი  
უწყობს მეურნეობის სოციალისტური სისტემის  
და სოციალისტური საკუთრების განმტკიცების და  
მ საეფთხების ფორმების განვითარების ერთიან  
კომუნისტურ საეფთხებად. საგვეგმო და სახელშე-  
კრულებო დასკიციპლინის, სამეურნეო ანგარიშის გან-  
მტკიცებას, მიწოდებათა დაბონზე და ჯერმოვნად შე-  
სრულებას, პროცესუალის ხარისხის განვისრელად  
მიაღლებას, კაპიტალური შენებლობის გეგმე-  
ბის შესრულებასა და კაპიტალისანდებათა ეფექ-

ტიანობის გადიდებას, სოფლის მეურნეობის პრი-  
დუქტების სახელმწიფო შესყიდვის განვითარების-  
ბას, საბჭოთა ეკონომის განვითარებას ცნობილი ი-  
თ მატერიალური და კულტურული ჰინდუსტრიული  
დაცვის და ამ ინტერესების სწორ შეხამებას მო-  
ლი საზოგადოების ინტერესებთან, უმოქმედებითი  
ინიციატივის განვითარებას მეცნიერებისა და ტექ-  
ნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების დაზღვია.



## ମେଲାରୀ ପାତ୍ରଙ୍କିଳୀଙ୍କ ପାତ୍ରଙ୍କିଳୀଙ୍କ

0620 3063050

ପରିବାରକାଳ ଅନ୍ତରାଳରେ

**მუხლი 1. საქართველოს სსრ სამოქალაქო ხანძღო-  
ლის კოდექსის ამოცანები**

საქართველოს სამკოთა სოციალისტური რეს-  
პუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსი აწეს-  
რიგებს ქონებრივ ურთიერთობებს და მათთან და-  
კავშირებულ პირად არაქონებრივ ურთიერთობებს  
კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური პარის შე-  
ქმნისა და მოქალაქეთა მატერიალური და სულიერი  
მოსხვნილებების უფრო და უფრო დაქმაყოფი-  
ლების მიზნით. ეპონით გათვალისწინებულ შემ-  
თხვევებში საქართველოს სსრ სამოქალაქო სა-  
მართლის კოდექსი აწესრიგებს ავტორე სავა პი-  
რად არაქონებრივ ურთიერთობებს.

საბჭოთა სახელმწიფო კონგრესი ურთიერთობათვის საფუძველია მეცნიერების სოციალისტური სისტემა და წარმოების ინიციატივა და საშუალებათა სოციალისტური საკუთრება. საქართველოს სსრ სა-

მეურნეო ცხოვრების განსაზღვრავს და წარმოადგინს  
სახელმწიფო სახალხო-სამეურნეო გეგშა.

ერმორუბი

მუხლი 2. ურთიერთობა, რომელსაც კრისტენისტები ეკა  
საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლ-  
ლის კოდექსი

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კო-  
დექსი აწესრიგებს იმ კოდექსის 1-ელ მუხლში აღ-  
ნიშნულ ურთიერთობებს:

სახელმწიფო, კოოპერაციულ და სახოვალოებ-  
როვ თანამდებობათა შორის;

მოქალაქეებისა და სახელმწიფო, კოოპერაციულ  
და სახოვალოებრივ თანამდებობების შორის;

მოქალაქეებისას ურთიერთ შორის.

იმ ურთიერთობათა შორისილური, რომელთაც  
საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექ-  
სი აწესრიგებს, სსრ კაშირის კანონმდებლობით ვა-  
თვალისწინებულ შემთხვევებში, შეიძლება იყვნენ  
სხვა თანამდებოւნისაციცხიც.

ქონებრივ ურთიერთობათა შიშირთ, რომელთაც  
საფუძვლად უღეს ერთი მხარის აღმინისტრაციუ-  
ლი დაქვემდებარება მოორე მხარისადმი. აგრეთვე  
სავალისახალო და სამარჯვერო ურთიერთობათა ში-  
შირთ ეს კოდექსი არ გამოიყენება.

საოჯახო, შრომის, საავგოლმაშელო ურთიერ-  
თობებს, წყლით საჩვებლობის ურთიერთობებს,  
აგრეთვე შიდა საყოლმეურნეო ურთიერთობებს,  
რომელიც გამომდინარეობენ კოლმეურნეობათა

წესდებიღან, არეგულირებს შესაბამისი, სოფია  
შტატის, მიწის, წყლისა და საქოლმეურნერი კანო  
მდებლობა.

ერმიტული

მუხლი 3. სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ  
სამოქალაქო კანონმდებლობა

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების“ შესაბამისად საქართველოს სსრ სამოქალაქო სამინისტროს კოდექსი და საქართველოს სსრ სამოქალაქო კანონმდებლობის სხვა აქტები აწესრიგებენ როგორც „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებით“ გათვალისწინებულ, ისე მათში გაუთვალისწინებელ ქონებრივ და პირად არაქონებრივ ურთიერთობას.

სსრ კავშირის სამოქალაქო კანონმდებლობა „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების“ შესაბამისად აწესრიგებს ურთიერთობას სოციალისტურ ინგინიზმიურებს შორის პროდუქციის მიწოდებისა და კომიტეტური მშენებლობის ღარეში, ურთიერთობას კოლმეტნებებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის ღარეში, რეინიგზის, საზღვაო, სამდინარო, სამარტო, მილსადენი ტრანსპორტის, კავშირგამშელობის ორგანოთა და საკრედიტო დაწესებელებათა ურთიერთობებს კლიენტურისთან და ურთმანეთს შორის. ურთიერთობებს სახელმწიფო დაზღვეულის ღარეში, ურთიერთობებს, რომელნიც

წარმოშობა ღმოვნებთან, გამოვლებებთან  
რაკიონალიზატორულ წინადადებებთან წარმოშობა  
რებით, აგრეთვე სხვა ურთიერთობებს, რომელთა  
მოწესრიგება სსრ კავშირის კონსტიტუციის მიხმარის სა-  
სრ კავშირისა და მოვალეობის რესპუბლიკურის სა-  
მოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებით" მივ-  
ტუვნება სსრ კავშირის გამგებლობას. ამ ურთიერ-  
თობითა დარიგები საქართველოს სს რესპუბლიკის  
კანონმდებლობით შეიძლება გადაიტრის საყითხე-  
ბი, რომლებიც სსრ კავშირის კანონმდებლობით მის  
გამგებლობას მიეკუთვნება.

საგარეო გაერთობის ურთიერთობა განისაზღვრე-  
ბა სსრ კავშირის სპეციალური კანონმდებლობით,  
რომელიც აწესრიგებს საგარეო გაერთობას, და სსრ  
კავშირისა და მოვალეობის რესპუბლიკურის სერთო  
სამოქალაქო კანონმდებლობით.

#### შესლი. 4. სამოქალაქო უფლებებისა და მოვა- ლეობების წარმოშობის საფუძვლები

სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები წარ-  
მოშობა იმ საფუძვლებისაგან, რომლებიც გათვა-  
ლისწინებულია სსრ კავშირისა და საქართველოს  
სს რესპუბლიკის კანონმდებლობით, აგრეთვე მო-  
ქალაქეთა და ორგანიზაციათა მოქმედებისაგან, რო-  
მელიც თუმცა ას არის გათვალისწინებული კა-  
ნონით, მავრან სამოქალაქო კანონმდებლობის ზო-  
გადი საწყისებისა და ასრის გამო სამოქალაქო  
უფლებებსა და მოვალეობებს წარმოშობენ.

ამის შესაბამისად სამოქალაქო უფლებები  
მოვალეობები წარმოშობა:

გარიგებებისაგან, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით, ავტორუე გარიგებებისაგან; მართლა ბიც თუმცა არაა გათვალისწინებული წინაპირობებისა და ერთობლივ გრაფიკისა და ერთობლივ გრაფიკისა მის;

აღმინისტრაციული აქტებისაგან, მათ შორის სახელმწიფო, კომპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის — დაგევმების აქტებისაგან;

აღმოჩენათა, გამოვლებათა, რაციონალიზატორულ წინაღილებათა შეღეგად, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნის შეღეგად;

სხვა პირის საფუძველის ზიანის მიყენების შეღეგად, ავტორუე საქმით საფუძვლების გარეშე სხვა პირის ხარჯზე ჭონების შეძენის ან დაზოგვის შეღეგად;

მოქალაქეთა და ორგანიზაციათა სხვავები მოქმედების შეღეგად;

იმ ხდომილებათა შეღეგად, რომელთაც კანონის სამოქალაქო სამართლებრივი შეღეგების წარმოშობას უკავშირებს.

მუხლი 5. სამოქალაქო უფლებების განხორციელება, და მოვალეობების შესრულება

სამოქალაქო უფლებები დაცულია კანონით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს უფლებები ხორციელდება კომენიზმის შენებლობის პერიოდში

სოციალისტურ საზოგადოებაში ამ უფლებების  
ნიშნულების საწინააღმდეგოდ.

უფლებების განხორციელებისა და მოვალეობის უზრუნველყოფის  
შესრულების დროს მოქალაქეებში ჯერ უკავშირდება უკავშირდება  
ზაფირში უნდა შეისრულონ კანონები, დაიკუთხ  
სოციალისტური საერთო ცხოვრების წესები და  
კომუნიზმის მშენებელი საზოგადოების მოხალუები  
პრინციპები.

### მუხლი 6. სამოქალაქო უფლებების დაცვა

სამოქალაქო უფლებების დაცვა სორიციელდება  
დაღვენილი წესით სასამართლოს, არბიტრის ან  
სამედიატორო სასამართლოს მიერ შემდეგი საშუა-  
ლებებით:

ამ უფლებების აღიარებით;

უფლების ღამილუების მისამართის მდგრადი  
ობის აღდვენით და უფლების ღამილუები მოქმედე-  
ბის აღკვეთით;

ვალებულებების ნატერიალ შესრულების მიხილით;

სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტილ ან  
შეცვლილით;

უფლების ღამილუები პირისათვის ზორალის ვა-  
ლაბლებინებით, ხოლო კანონით ან ხელშეკრულე-  
ბით ვათვალისწინებულ შემთხვევაში პირვალმცი-  
ლოს (ჯარიმის, საურავის) ვადახდებინებით;

ავტორუე კანონით ვათვალისწინებული სხდა სა-  
შუალებებით.

სამოქალაქო უფლებების დაცვა სსრ კავშირის  
და მოკავშირე რესპუბლიკურების კანონმდებლობის  
დადგენილი წესით და შემთხვევებში ხელმისამართის  
დება იგივეთვე იმნინავდრი სასამართლოს უფლებების  
პროცესუალურები და სხვა საზოგადოებრივი ორგა-  
ნიზაციების მიერ.

კანონით გამსაკუთრებით გათვალისწინებულ  
შემთხვევებში სამოქალაქო უფლებათა დაცვა ხორ-  
ციულდება აღმინისტრისკული.

### მუხლი 7. პატივისა და ლიტსებრის დაცვა

მოქალაქეს ან ორგანიზაციას უფლება აქვთ  
მოთხოვოს სასამართლოს საშუალებით მისი პატი-  
ვისა და ღიჩისების შემლახველი ცნობების უარყო-  
ფა, თუ ასეთი ცნობების გამოვჩინელებელი მათ სა-  
ნამდვილეს ერთ დამტკიცებს.

თუ აღნიშნული ცნობები გავტკიცებული პრე-  
სამი და სინამდვილეს ან შეეფეხებიან, მათი უარ-  
ყოფა პრესის საშუალებით უნდა მოხდეს. სხვა  
შემთხვევაში უარყოფის წესს აღვემს სასამართლო.

თუ სასამართლოს გადაწყვეტილება არ შესტე-  
ლებული, სასამართლოს უფლება აქვს დააჯარისოს  
დამტკიცება; ჯარიმის სახელმწიფოს შემთხვევაში  
ჩიტოტკიცება. ჯარიმის გადასტევინება ხდება საქან-  
თველოს სსრ სამოქალაქო სამართლოს საპროცესო  
კოდექსით დადგენილი წესით და რაოდენობით.  
ჯარიმის გადახდა არ არის უფლება დამტკიცება;

მოვალეობისაგან შესრულოს სახამართლოს ქადა-  
წყვეტილებით გათვალისწინებული მოქმედება  
მცხელი 8. სხვა მოქადაგის ჩესპერბლივი ქამთ-  
ქალაქი კანონმდებლობის გამოყენების საქართველოს  
საქართველოს სს ჩესპერბლივი

სხვა მოქადაგის ჩესპერბლივის სამოქალაქო  
კანონმდებლობა გამოიყენება საქართველოს სს  
ჩესპერბლივი შემდეგი წესების მიხედვით:

1) საქართველოს უფლებისაგან გამომდინარე  
ურთიერთობების მიმართ მოქმედებს ქონების ოფ-  
გილისამყოფელის კანონი;

2) გარიგების დადების დროს უფლებაუნარია-  
ნობა და ქმედონარიანობა განისაზღვრება გარიგების  
დადების ოფგილის კანონი გამოიყენება ავრეოვე  
იმ ვალდებულებათა მიმართ, რომელიც გარიგები-  
საგან წარმოიშობა, თუ კანონით ან მხარეთა შეთან-  
ხმებით სხვა რამ ან არის გათვალისწინებული;

3) გარიგების ფორმის მიმართ გამოიყენება  
გარიგების დადების ოფგილის კანონი; გარიგების  
დადების ოფგილის კანონი გამოიყენება ავრეოვე  
იმ ვალდებულებათა მიმართ, რომელიც გარიგები-  
საგან წარმოიშობა, თუ კანონით ან მხარეთა შეთან-  
ხმებით სხვა რამ ან არის გათვალისწინებული;

5) მემკვიდრეობის ურთიერთობათა მიმართ გა-  
მოიყენება სამკვიდროს განსხის აღვილის კანონი;

6) სისარჩევთ ედის ხანდაზმულობის საკრიტიკა  
ბი წყლება იმ მოქავშირე რესპუბლიკის კარიბის  
რომლის კანონმდებლობა შესაბამის ურთევრომ-  
ბას იწესრიგებს.

ს ი ს კ ლ ა რ ი რ ა მ ა მ

თავი მომი

პ ი რ ე ბ ი

1. მოქალაქეთი

#### მუხლი 9. მოქალაქის უფლებაუნარიანობა:

უნარი ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და  
მოვალეობები (სამოქალაქო უფლებაუნარიანობა)  
იღიარებულია საქართველოს სსრ და სხვა მოქავ-  
შირე რესპუბლიკების გაელა მოქალაქისათვის თა-  
ნაბრად.

მოქალაქის უფლებაუნარიანობა წარმოადგინდა მი-  
სი დაბადებისას და წყლება სიყვდილთ.

#### მუხლი 10. მოქალაქის უფლებაუნარიანობის ში- ნარისი

კანონის შესაბამისად, მოქალაქეს შეუძლია ქარი-  
ჭე ქონება პირად საკუთრებად, უფლება აქვს ისარ-  
ებლოს საცხოვრებელი შენობით და სხვა ქონებით,  
მიღლოს ქონება მემკვიდრეობით და გადასცეს ან-

დეტალი, არჩიოს ესათე ის საქმიანობა და ხელის, რებელი აღვალა; უფლება აქვს იყოს მეცნიერებას, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმმარშების მრგვა; მოჩენათა, გამოვლენათა, რაციონალიზმის კრიტიკული ერა წინადაღებათა ივტორი, ავტორები პერიოდების სხვა ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები.

#### მუხლი 11. მოქალაქეთა ქმედუნარიანობა

მოქალაქის უნიტი, თავისი მოქმედებით შეიძინოს სამოქალაქო უფლებები და იქისრის სამოქალაქო კალებულებანი (სამოქალაქო ქმედუნარიანობა) სრული მოცულობით წარმოიშობა სრულ ჭრვანების, ესე იგი თვრამეტი წლის ასაკის მიღწევიდან.

იმ შემთხვევაში, როდესაც კანონით დაშეცულია ქონისნება თვრამეტი წლის ასაკშიდე, პირი, რომელიც თვრამეტი წლისა ჯერ არ გამხდარი სრულ ქმედუნარიანობას მოიპოვებს დაქონისნების დღიდან.

#### მუხლი 12. მოქალაქის უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის შეზღუდვის დაწყებლისა

არავის არ შეიძლება შეეზღუდოს უფლებაუნარიანობა ან ქმედუნარიანობა თე არ იმ შემთხვევიშისა და წესების დაცვით რაც გათვალისწინებულია კანონით.

გარიგება, რომელიც ზღუდვას უფლებაუნარიანობას ან ქმედუნარიანობას ბათილია.

### მუხლი 13. ქმედუნარიანობა არასრულწლოვანის თხუთმეტი წლის ასაკაშიდე

არასრულწლოვანის მაგისტრ, რომელიც წერილი იყენება  
ტა წლისა ჯერ ას გამხდარია, მისი სახელით გამო-  
ჩებას სდებს მისი მშობელი, მშვილებელი ან მე-  
ურევი.

თხუთმეტი წლის ასაკს მიუღწეველ არასრულ-  
წლოვანის უფლება აქვს დამოუკიდებლად დადოს  
წერილმანი საყოფაცხოვრებო გარიგება.

თხუთმეტი წლის ასაკს მიუღწეველი არასრულ-  
წლოვანის უფლება შეიტანოს ინაბარი საკრედი-  
ტო დაწესებულებაში და განკარგოს ეს ინაბარი გა-  
ნისაზღვრება სსრ კავშირის კანონმდებლობით.

### მუხლი 14. არასრულწლოვანის ქმედუნარიანობა თხუთმეტიდან თვრამეტი წლის ასა- კაშიდე

არასრულწლოვანი თხუთმეტიდან თვრამეტი  
წლის ასაკაშიდე გარიგებას სდებს მშობლის, მშეო-  
ლებელის ან მზრუნველის თანხმობით, ოდონდ მას  
უფლება აქვს დამოუკიდებლად დადოს წერილმანი  
საყოფაცხოვრებო გარიგება, განკარგოს თავისი  
ხელფასი ან სტიპენდია, განახორციელოს ფერ-  
რისა და გამომჟღვნებლის უფლებები.

საკრიო საფუძვლის არსებობისას სამეურვეო და  
სამსრუნველო თარგანოს შეუძლია თავისი ინიცია-

ტრიათ ან საზოგადოებრივი იმპერიაზაციის ან კულტურული აინტერესებულ პირთა შეიძლოს მობილობა და ან ჩამოართვას თხუთმეტიდან თვეუკიდოფურ ფული ასაკამდე არასრულწლოვანს მისი ხელშეჭრულობის პენდის დამოუყიდებლად განკვარევის რაღაც.

თხუთმეტიდან თვერამეტი წლის ასაკამდე არასრულწლოვანის უფლება შეიტანოს საყრელიტო დაწესებულებაში ანაბაზი და განკვარევის ივი განისაზღვრება სსრ კავშირის კანონმდებლობით.

### მუხლა 15. მოქალაქის აღმარება არაქმედუნარია-

#### ნაფ

მოქალაქე, რომელიც სულით ავადმყოფობის ან ჰერისეტობის გამო ან შეეძლია შეიგნოს თავისი მოქმედების მნიშვნელობა ან გაუძლვეს მას, შეიძლება სისამართლოს მიერ აღიარებულ იქნეს არაქმედუნარიანად იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით, მასზე დაწესდება მეურნეობა.

არაქმედუნარიანად აღიარებული სულით ავადმყოფის ან ჰერისეტის სახელით გარიგებებს სდებს მისი შეუძლებელი.

არაქმედუნარიანად აღიარებული მოქალაქის განკურნების, ან ჯანმრთელობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესების შემთხვევაში, სისამართლო აღიარებს

მას ქვედუნიჩიანად, სასამართლოს გადაწყვეტილება  
ბის საფუძველზე მეურვეობა ექმდება.

### მუხლი 16. საცხოვრებელი აღვალი

ინიციატივა  
პრესკრიპტი

მოქალაქის საცხოვრებელ აღვალად მიიჩნევა ის  
ადგილი, სადაც იგი ცხოვრობს მუდმივად ან უპი-  
რატესად.

თხუთმეტი წლის ასაკში არასრულწლოვანის  
და აგრეთვე მეურვეობაში მყოფი სხვა მოქალაქის  
საცხოვრებელ აღვალად მიიჩნევა მათი მშობლების,  
შეეძლებელთა ან მეურვეთა საცხოვრებელი აღვი-  
ლი.

### მუხლი 17. მოქალაქის ცავალოდ დაყარგულად აღიარება

✓ მოქალაქე შეიძლება სასამართლო წესით აღია-  
რებული იქნის უკალოდ დაყარგულიდ, თუ ერთი  
წლის განმავლობაში მის მუდმივ საცხოვრებელ  
აღვალის არ მოისოდება ცნობები მისი აღვილა-  
მყოფელის შესახებ.

თუ ცავალოდ დაყარგების შესახებ უკანასკნელი  
ცნობების მიღების დღის ზესტად დადგენა შეიცა-  
ბელია, უკალოდ დაყარგულობის დასაწყისად ჩია-  
თვება იმ თვის უკანასკნელი რიცხვი, როდესაც  
მიღებული იყო უკანასკნელი ცნობა უკალოდ და-  
კარგულის შესახებ, ხოლო თუ იმ თვის დადგენა  
შეიცაბებელია — იმ წლის უკანასკნელი დღე.

მუხლი 18. ცავალოდ დაკარგული მოქალაქეების  
ნების დაცვა



ცავალოდ დაკარგულად აღიარებული მოქალაქეების ქის ქონების სასამართლოს გადაწყვეტილების საფრთხეებზე უწესდება მეურეეობა. ამ ქონებიდან შეიცვალა სიჩინო ამ მოქალაქეებს, რომელთა შენახვა კანონით უკალება ცავალოდ დაკარგულს, და აგრძელებულ დოფუძნება დავალიანები უკალოდ დაკარგულის სხვა კალდებულებითა შეცვლილ.

დაინტერესებული პირების განცხადების საფუძველზე, სამეურეოთ და სამხრენველო თარგმნოს შეუძლია ცავალოდ დაკარგული მოქალაქეის აღგიღსამყოფელის შესახებ უკანასკნელი ცნობის მოცების დღიდან ერთიან წლის გასცელამდეც დანიშნის მეურე მისი ქონების დასცევად.

მუხლი 19. გაუქმება სასამართლოს გადაწყვეტილებისა  
და ცავალოდ დაკარგულიად აღიარების შესახებ

ცავალოდ დაკარგულად აღიარებული მოქალაქეის დაბრენების ან მისი აღგიღსამყოფელის აღმოჩენის შემთხვევაში, სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილების მისი უკალოდ დაკარგულად აღიარების შესახებ. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე უქმდება მეურეეობა ამ მოქალაქეის ქონების უ.

## მესამე 20. მოქალაქის გარდაცვლადად გამოიყენეთ დება

მოქალაქე შეიძლება სისამართლო წესრიგის უკანასკნელი მოქადაცებულ იქნეს გარდაცვლადად, ან კუშის მოქადაცებული დროი საექსორებებელ იღვიღის სამი წლის განმდევლობაში ან მოიპოვება ცნობები ან მოქალაქის იდგილსამყოფელის შესახებ, ხოლო თუ იგი უკუაღოდ დაიყარება ისეთ გარემოებაში, რომელიც მის სიკედილს უქადა ან საერთაუროა მისი დაღუპვა რაზე უბედური შემთხვევის გამო, თუ ისეთი ცნობები იქნეს თვის განმავლობაში ან მოიპოვება.

სამხედრო მოხამაშიახურე ან სხვა მოქალაქე, რომელიც უკუაღოდ დაიყარება საომარი მოქმედების-თან დაკავშირებით, შეიძლება სისამართლო წესით გამოცხადებულ იქნეს გარდაცვლადად ანა უაღრეს. კიდრე თრი წლის გასეულისა საომარი მოქმედების დამთავრების დღიდან.

გარდაცვლადად გამოცხადებული მოქალაქის გარდაცვალების დღედ მიიჩნევა მის გარდაცვლად გამოცხადების შესახებ სისამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღე.

ამ შემთხვევებში, როდესაც გარდაცვლად გამოცხადებული იქნება მოქალაქე, დაკარგული ისეთ გარემოებაში, რომელიც სიკედილით ეშეუქრებოდა ან საერთაუროა მისი დაღუპვა გარსკვეული უბედური შემთხვევის გამო, სისამართლოს შეუძლია ამ მოქალაქის სიკედილის დღედ აღიაროს მისი საერთაუდო დაღუპვის დღე.

მუხლა 21. გარდაცვლილად გამოცხადებული მოქანაკების დაბრუნების ან მისი აღვითხვისამ უფლებლის აღმოჩენის შედებულების შემთხვევაში სასამართლო აუქმებს შესაბამის გადაწყვეტილებას (ამ კოდექსის მე-20 მუხლი).

დამოუკიდებლად თავისი დაბრუნების დროისა, მოქალაქეს უფლება აქვა მოსთხოვოს ყოველ პირს იმ ქონების ნატენი, რომელიც უსასყიდლოდ გადაეცა ამ პირს მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადების შემდეგ.

ის პირი, რომელმაც გარდაცვლილად გამოცხადებული მოქალაქის ქონება სასყიდლით შეიძინა, ვალდებულია დაუბრუნოს მის ეს ქონება, თუ დამტკიცება, რომ ქონების შეძენისის მან იცოდა, რომ გარდაცვლილად გამოცხადებული მოქალაქე ცოცხალი იყო.

თუ გარდაცვლილად გამოცხადებულის ქონება მემკვიდრეობის უფლებით მიიღო სახელმწიფომ და მის ჩეალიშაცია უყო, მაშინ გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ მოქალაქეს უბრუნდება ქონების ჩეალიშაციით მიღებული თანხა.

დაბრუნების შემთხვევაში, გარდაცვლილად გამოცხადებულ მოქალაქეს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი ქონება (გადაახდევინოს მისი ღირებულება).

ლება) სასაჩიჩელო ხანდაზმულობის სამწელის  
დას განმიყელობაში, რაც გამოითვლება სისამართ-  
ლოს მიერ მოქალაქის გარედაცვლად ფრიქიშით და  
ბის შესახებ გადაწყვეტილების გაუკრიზა ფასალისა და

## 2. მოძრაობა ამინდი

შესლი 22. იურიდიული პირის ცნება

✓ იურიდიული პირი არის ორგანიზაცია, რომელ-  
საც აქვს განცალკეული ქონება, შეუძლია თა-  
ვის სახელით მომსახუროს ქონებრივი ან პირადი  
არაქონებრივი უფლებები და იყისრის მოვალეო-  
ბის, იყოს მოსაჩიჩელე და მოპასუხე სასამართლო-  
ში, ანბოტრავს ან სამეცნიერო სასამართლოში.

შესლი 23. იურიდიული პირის ხასერთანი

იურიდიული პირები არიან:

სახელმწიფო საწიარმოები და სხვა სახელმწიფ-  
ო ორგანიზაციები, რომელებიც სამეცნიერო ანგა-  
რიშე იშვილებიან, აქვთ მათთვის მიწენილი ძირი-  
თაღი და სახრუნველი სამშრალებები და ღმიონებიდე-  
ბელი ბალანსი;

დაწესებულებები და სხვა სახელმწიფო ორგა-  
ნიზაციები, რომელებიც სახელმწიფო ბიუჯეტშე იმ-  
ყოფებიან და აქვთ დამოუკიდებელი ხაზჯოლიც-  
ხები და რომელთა ხელმძღვანელები საჩვებლობენ

კულტურის განვითარების უფლებით (ეხოსთ) და გამონაკლის გარება);

სხელწიფეთ ოჩიგისიზაციები, რომელთა ფა-  
ფინანსებია ხდება სხვა წყაროებით და შესაბუმინებელი უკიდურესი ხარჯთაღნიცხვა და ბალანსი;

— კოლეგიურნეობები, საქოლმეურნეობათა მოჩინე-  
ბა სხვა კოოპერაციული და სახოვალოებრივი ობი-  
განიზაციები და მათი გაერთიანებანი, — ავტოკუ-  
ნი შემთხვევებში, რაც გათვალისწინებულია სსრ  
კუმინისა და საქართველოს სს რესპუბლიკის კა-  
ნონმდებლობით, — ამ ობიგანიზაციითა და მათ გა-  
ერთიანებათა საწარმოები და დაწესებულებები  
რომლებსაც აქვთ განკულიაზებული ქონება და და-  
მოუკიდურებელი ბალანსი;

სახელმწიფო-საქოლმეურნეო და სხვა სახელ-  
მწიფო-კოოპერაციული ოჩიგისიზაციები.

ამ მუხლში იღნიმნები დაწესებულებები და  
სხვა სახელმწიფო ობიგანიზაციები, რომლებიც სა-  
ხელმწიფო ბიუჯეტის მიერთებიან — სსრ კუმი-  
ნისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გა-  
რისა და საქართველოს სსრ კუმინებულ შემთხვევებში, — მოქმედებენ,  
თვალისწინებულ შემთხვევებში, — სესაბამისად, სსრ კუმინის ან საქართველოს სსრ  
სახელით.

მუხლი 24. იურიდიული პირის წესდება (დეპუ-  
ლება)

იურიდიული პირი მოქმედებს წესდების (დეპუ-  
ლების) საფუძველზე. დაწესებულებებსა და სხვა

სიხელმწიფო ორგანიზაციებს, რომლებიც შექმნა  
შეიქმნა ბიუჯეტზე იმყოფებიან, ხოლო, სპორტი  
რის და საქართველოს სს ოქსპებლივის კურირებულება  
ლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში მისამართ  
სხვ. ორგანიზაციებს შეუძლიათ იმოქმედოს მივა-  
რთო ორგანიზაციების შესახებ საერთო დებულების  
საუკმცელებელი.

### შეხლი 25. იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა

იურიდიულ პირს იქნა სამოქალაქო უფლება-  
უნარიანობა მისი საქმიანობის დადგენილი მიზნების  
შესაბამისად.

იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა, წითე-  
მომომობა წესდების (დებულების) ღამტყისუბის  
დღიდან, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც იური-  
დიულში პირმა მისი სახის თანამიზაციების შესახებ  
საერთო დებულების საფუძველზე უნდა იმოქმე-  
დოს, — მისი შექმნის შესახებ კომპენტენტური თა-  
ვიანოს დადგენილების გამოცემის მომენტიდან. თუ  
წესდების (დებულების) რეგისტრაცია ესაქიროება,  
იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა წითემო-  
მობა მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

### შეხლი 26. იურიდიული პირის წარმოშობა

იურიდიული პირი წარმოიშობა სსრ კუმინისა  
და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენი-  
ლი წესით, ხოლო ის სახოვალოებრივი ორგანიზა-

ერა, რომლის წარმოშობის წესი კანონით უფლებელი არ არის, წარმოშობა მისი წესდებით (სუბ-ლებით) გათვალისწინებული წესით. ეროვნული პრეზიდენტის მუხლი 27. იურიდიული პირის ორგანოები

იურიდიული პირი სამოქალაქო უფლებებს მომოვავს და სამოქალაქო მოვალეობებს კისრულობს თავისი ორგანოების მეშვეობით, რომელიც მოქმიდებენ მათთვის კანონით ან წესდებით (დებულებით) მინიჭებული უფლების ფარგლებში.

იურიდიული პირის ორგანოების დანიშნვის ან აჩვევის წესი კანისაზღვრება მისი წესდებით (დებულებით).

მუხლი 28. იურიდიული პირის ხასელწილება

იურიდიულ პირს აქვს თავისი სახელწილება. სამეცნიერო ორგანიზაციის უფლებები და მოვალეობანი, რომლებიც დაკავშირებულია საფინანსო სახელწილების, საწარმოო მარყის და სისაქონლონიშნის გამოყენებისთვის, განისაზღვრება სსრ კავშირის კანონმდებლობით.

მუხლი 29. იურიდიული პირის ადგილსამყრფელი

იურიდიული პირის ადგილსამყრფელი მიიჩნევა ის ადგილი, სადაც იმყოფება მისი შედრმივმოქმედი ორგანო.

### მუხლი 30. ოურიდიული პირის ფინანსურის წარმომადგენლობა



ოურიდიულ პირს შეუძლია გთხოვა ფინანსურის უზრუნველყოფა  
და წარმომადგენლობაზე სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ფილიალის ან წარმომადგენლობის ხელმძღვანელი მოქმედებს სათანადო ოურიდიული პირის ავან მიღებული რწმუნებულების საფუძველზე.

### მუხლი 31. ოურიდიული პირის პასუხისმგებლობა თავისი ვალდებულებებისათვის

ოურიდიული პირი პასუხს ავებს თავისი ვალდებულებისათვის ქონებით, რომელიც მის ეკუთვნის, ხოლო სახელმწიფო თავისებისაცია, თუ ის ოურიდიულ პირს წარმოადგენს, მისთვის მიჩენილი ისეთი ქონებით, რომლითაც სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობით შეიძლება გადახდევინება.

### მუხლი 32. სახელმწიფოსა და სახელმწიფო ორგანიზაციების პასუხისმგებლობის გამოვლინვა

სახელმწიფო პასუხს არ ავებს იმ სახელმწიფო თავისებისაციების ვალდებულებებისათვის, რომელიც თურიდიული პირები არიან, ხოლო ეს თანამდებობა

ზაფირებთ პასუხს არ ივებენ სახელმწიფო და კულტურული  
ლეგენდისათვის.

სისიჩების გაღების პირობები და შენიშვნები:  
შწიფო მიუკავებული მუოფ დაწესებულებებისა და შემცირებული სხვა სახელმწიფო ორგანიზაციათა დაცვალიანების დასაუკარვებლივ, თუ ეს დაცვალიანება არ შეიძლება დაითვარის მათთვის ზარჯოთაღრიცხვის ანგარიშზე, წესდება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონ-მდებლობით.

შესლი 33. სახელმწიფო ორგანიზაციის და მასზე  
დაქვემდებარებული საწარმოს, კომედ-  
რაციული ან სხვა საზოგადოებრივი  
ორგანიზაციის და მიხო საწარმოს პასუ-  
ხისმგებლობის გამოვევნა

სახელმწიფო ორგანიზაცია პასუხს არ ივებს მასზე დაქვემდებარებულ იმ საწარმოს ვალდებუ-  
ლებისათვის, რომელიც იურიდიული პირია, ხოლო ეს საწარმო პასუხს არ ივებს იმ თრგანიზაციის ვალდებულებისათვის, რომელსაც იყო მქონდე-  
ბარება.

კომერციული ან სხვა საზოგადოებრივი ორ-  
განიზაცია პასუხს არ ივებს იმ თავისი საწარმოს ვალდებულებისათვის, რომელიც იურიდიული პი-  
რია ( იმ კოდექსის 23-ე შესლი), — ხოლო ეს საწარ-  
მო პასუხს არ ივებს ლინიშნებულ თრგანიზაციის ვალდებულებისათვის.

მ წესიდან გამონაკლისი დაიშვება სსრ ცავაძე-  
რის და საქართველოს სსრ კანონმდებლობით კუ-  
თხლისწინებულ შემთხვევებში. ერმორუბე-  
რის წილის წილი შემთხვევებში.

ს ი ს ლ ლ ი რ ი ტ ი ტ ი

შესლი 34. კომპერაციული გაერთიანებისა და მის  
შემაღვენლობაში შემავალი კომპერა-  
ციული ორგანიზაციების პასუხისმგებ-  
ლობის გამიჯვნა

კომპერაციული გაერთიანება პასუხს არ ავებს  
მის შემაღვენლობაში შემავალი კომპერაციული  
ორგანიზაციების კალდებულებებისათვის, ისევე  
როგორც ეს უკანასკნელი პასუხს არ ავებენ იმ  
კომპერაციული გაერთიანების კალდებულების-  
სათვის, რომლის შემაღვენლობაში ისინი შედიან,  
თუ ასეთი პასუხისმგებლობა კანონიდან ან წესდე-  
ბიდან არ გამომდინარეობს.

შესლი 35. კომპერაციული ან საზოგადოებრივი  
ორგანიზაციის და მისი წევრების პა-  
სუხისმგებლობის გამიჯვნა

კომპერაციული ან საზოგადოებრივი ორგანი-  
ზაციის წევრები პასუხს არ ავებენ მის კალდებუ-  
ლებისათვის. ოღონდ კომპერაციული ორგანიზა-  
ციის წევრების ასეთი პასუხისმგებლობა საპათ  
შენატანის ჯერადა თდენობით, შეიძლება გათვა-  
ლისწინებულ იქნეს კანონით ან კომპერაციული  
ორგანიზაციის წესდებით.

კომპერაციული ან საზოგადოებრივი ორგანიზა-

ცის პასუხს არ იყებს თავის წევრების გადასაცემა /  
ბებისათვის. კოოპერაციული ორგანიზაციის წევრები,  
შის საპათ შენატანებიდან გადახდევინტერი შეატანა  
ვება, ვარდა შემთხვევებისა, როდესაც კერძო შემსრულებელი  
დის ორგანიზაციის წევრთა შემადგენლობიდან.

მუხლი 36. საკოლმეტერნეობათაშორისო, სახელმ-  
წიფო-საკოლმეტერნეო და სხვა სახელ-  
მწიფო-კოოპერაციული ორგანიზაციებისა  
და მათ მონაწილეობა პასუხისმგებ-  
ლობის გამოყენა

საკოლმეტერნეობათაშორისო ორგანიზაციის მო-  
ნაწილე კოლმეტერნეობანი, აგრეთვე სახელმწიფო-  
საკოლმეტერნეო ან სხვა სახელმწიფო-კოოპერაციუ-  
ლი თრიერიზაციის მონაწილენი არ იყებენ პასუხს  
ამ ორგანიზაციის ვალდებულებებისთვის. ორგა-  
ნიზაციის ზარალი შეიძლება ვანაწილდეს მის მონა-  
წილეებზე წესდების (დებულების) შესაბამისად.

საკოლმეტერნეობათაშორისო, სახელმწიფო-კო-  
ლმეტერნეო და სხვა სახელმწიფო-კოოპერაციუ-  
ლი ორგანიზაციები არ იყებენ პასუხს თავისი მო-  
ნაწილეების ვალდებულებებისთვის.

მუხლი 37. იურიდიული პირის მისამართი

იურიდიული პირი მოისპობა შის ლიკვიდაციით  
ან ჩემორჩენისაკით (მეტწყვით, გაუთვით ან შე-  
ერთებით).

თურიდოული პირების გაერთიანებისა ან გაფორმირებისა მათი ქონება (ეფლებები და მოვალეობები) გადადის ახლად წარმოშობილ თურიდოულ პირების აკმა.

თურიდოული პირის შეერთებისას სხვა პირების ულ პირთან, მისი ქონება (ეფლებები და მოვალეობები) გადადის უკანასკნელზე.

ქონება (ეფლებები და მოვალეობები) გადაღის გადაცემითი ბალანსის ხელისმოწერის დღეს, თუ კანონით ან დადგენილებით ჩერტვინისცის შესახებ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

თურიდოული პირის ლიკეიდაციის და ჩერტვინისცის წესი განისაზღვრება საქართველოს სსრ კანონმდებლობით, თუ სსრ კავშირის კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, ან კოოპერაციული და სამოვალოებრივი თარგანისციების წესდებებით.

შესლი 38. მოსპონსა სახელმწიფო ორგანიზაციისა,  
რომელიც თურიდოულ პირს წარმოადგინს  
შენს

სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელიც თურიდოულ პირს წარმოადგენს, მოსპონსა იმ ორგანიზ. მიერ, რომლის ვალარწყვეტილებითაც იგი შეიქმნა.

შესლი 39. კოოპერაციული, სახელმწიფო-ხელოლიშეურნეო, სახელმწიფო-კოოპერაციული და საშოგადოებრივი ორგანიზაციების მოსპონსა

კოოპერაციული, აგრეთვე სახელმწიფო-ხელო-

მეურნეო და სხვა სახელმწიფო-კოოპერატურული  
ორგანიზაციები მოისპობა კანონში და ამ რეგისტრი-  
ზეციების წესდებაში (დებულებაში) ერთშემსრული  
საცურაველებით.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები ისპობა მთ  
წესდებაში (დებულებაში) აღნიშნული საცურა-  
ვოთ.

კოოპერაციული, სახელმწიფო-საკოლეგიურნეო,  
სხვა სახელმწიფო-კოოპერაციული და საზოგადოე-  
ბრივი ორგანიზაციების რეორგანიზაცია (შეჩრწყმა,  
გაყოფა, შეერთება) შეიძლება მათი წევრების (მო-  
ნაწილეთი) საერთო კრების ან რწმუნებულთა კრე-  
ბის გადაწყვეტილებით.

მუხლი 40. კოოპერაციული, სახელმწიფო-საკოლ-  
ეგიურნეო, სახელმწიფო-კოოპერაციული  
და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ლი-  
კვადაციის შემდეგ დარჩენილი ქონე-  
ბის გამოყენება:

ლიკვადაციებელი კოოპერაციული და სხვა სა-  
ზოგადოებრივი ორგანიზაციის ქონება, რომელიც  
ყველა მისი კრედიტობის მოთხოვნათა დაქმაყოფი-  
ლების შემდეგ დარჩენილი, გამოიყენება, თუ კანონით  
სხვა რამ ან არის დადგენილი, საბოო ან სხვა  
დასაბუნებელი შენატანების გასასტუმრებლად,  
დარჩენილი ნაწილი გადაეცემა შემდგომ კოოპერა-  
ცია

ცუულ ან საზოგადოებრივ ორგანიზაციის მიერ  
თვი ასეთი არ არსებობს — სათანადო სახელმწიფო  
ორგანოს.

ერმოვრუბი

ლიკურიკოგბულ საყოლმეურნეობაში მართვა არ არ  
სახელმწიფო-საყოლმეურნეო და სხვა სახელმწი-  
ფო-კომპეტიციურელი ორგანიზაციის გველა კრედი-  
ტორის მოთხოვნითა დაქმუშევილების შემდეგ დაზ-  
ნენილი ქონება განაწილდება მონაწილეთა შორის  
მათ შენატანების პროპორციულად.

## თავი 80

### პარიგეგმანი

#### მუხლი 41. გარიგების ცნება და ხახობანი

გარიგება არის მოქალაქეთა ან ორგანიზაციათა  
მოქმედება, მიმართელი სამოქალაქო უფლებათა ან  
მოვალეობათა წარმოშობის, შეცელისა ან მომა-  
ბისთვის.

გარიგება შეიძლება იყოს უაღმისრიცი და ორ-  
მხრივი ან მრავალმხრივი (ხელშეკრულები).

#### მუხლი 42. გარიგების ფორმა

გარიგების დაღება შეიძლება ზეპირად ან წერი-  
ლობით (მიმტენი ან სანოტაზო ფორმით).

გარიგება, რომლისთვისაც კანონით არ არის და-

წესებული გამსაზღვრული ფონით, ჩაითვალისწილებული რეკვეტი დადგრძნულია, თუ პირის მოქმედება მიუკვეთდება, მის ნების დადოს გარიგება.

სსრ კავშირის და საქართველოს სახმროების მიერ მიმდინარე ლობით გათვალისწინებულ შემთხვევებით დუდინი ჩაითვალისწილება გარიგების დადების სერვისის გამომ-ცდაცნებად.

#### მუხლი 43. ზეპირი გარიგება

გარიგება, რომლის შესრულება მისი დადების-თანავე ხდება, შეიძლება დაიდოს ზეპირად, თუ სსრ კავშირის ან საქართველოს სსრ კანონმდებლობით სხვა რამ ან არის დადგენილი.

#### მუხლი 44. წერილობითი გარიგება

წერილობით უნდა დაიდოს:

✓ 1) სახელმწიფო, კომუნიკაციული და საზოგადო-ებრივი ორგანიზაციების გარიგებანი ურთიერთშორის და მოქალაქეებთან იმ გარიგებათა გამოყე-ბით, რომლებიც ამ კოდექსის 43-ე მუხლშია აღნი-შნული, და ცალკეულ სახეობების იმ გარიგებებ-თა გამოყენებით, რომლებისთვისაც სსრ კავშირის ან საქართველოს სსრ კანონმდებლობით სხვა რამ არის გათვალისწინებული;

✓ 2) მოქალაქეთა გარიგებანი ურთიერთშორის ას მანეთზე მეტი თანხისა, იმ სახეობების გარიგებათა გამოყენებით, რომლებიც აღნიშნულია ამ კოდექ-

სხ 43-ე მუხლში და ვარეთუ სსრ კავშირის ან საქართველოს სსრ კანონმდებლობაში აღნიშნულ სხვა სახეობის გარიგებათა ვამოკლებით; ერთეულის მიხედვის გარიგებათა ვამოკლებით;

3) სხვა გარიგებაზე მოქალაქეთა შოთარი, კანონის მელთათვის კანონი წერილობით ფორმის მოითხოვ.

წერილობით გარიგებას ხელი უნდა მოაწერონ გარიგების დამდებარება პირებმა.

თუ მოქალაქეს ფიზიკური ნაკლის, იერმყოფობის ან სხვა რამე მიზეზების გამო არ შეუძლია თვითონ მოაწეროს ხელი გარიგებას, მათი დაფიცებით გარიგებას შეიძლება ხელი მოაწეროს სხვა მოქალაქემ. უკანასკნელის ხელმოწერა უნდა დამოწმდეს ან იმ ორგანიზაციის მიერ, სადაც მომარბს ან სწავლობს გარიგების დამდები მოქალაქე, ან იმ სასლიშვილისებრით მიერ, სადაც იგი სამკურნალო დაწესებულების აღმინისტრის მიერ, სადაც იგი სამკურნალოდ იმყოფება, ანდა სანოტარო ორგანიზაციის მიერ, იმ მიზეზის აღნიშვნით, რას გამოც გარიგების დამდები თვითონ ეცნაშენის ხელს.

შესლი 45. გარიგების ფორმის დაუკველობის შემთხვევა

კანონით დაწესებული ფორმის დაუკველობა არ ვალი გარიგების ბათილობის მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მეტო შედეგი პირზე მიმირა მითითებული კანონში.

სავარეო ვაჭრობის გარიგებათა ფონდის  
გარიგებითა ხელმოწერის წესის დაუცველობა (ამ  
კოდექსის 574-ე მუხლა) იწვევს გარემონტის დროში  
ლობას.

ს ი ს ლ ი რ ი ტ ი ე პ

მუხლი 46. ვარიგების მარტივი წერილობითი ფონ-  
მის დაუცველობის შედეგები

გარიგების მარტივი წერილობითი ფონმის დაუ-  
ცველობა (ამ კოდექსის 44-ე მუხლი) უსპობს მხა-  
რეებს უფლებას, რომ დავის შემთხვევაში გარიგე-  
ბის დასაღისტურებლად დაეყრდნონ მოწმეთ ჩვე-  
ნებებს, მაგრამ არ უსპობს მათ უფლებას წირმოა-  
დგინონ წერილობითი მტკიცებულებები, ხოლო კა-  
ნონში მიზანდამი მითითებულ შემთხვევებში იწვევს  
გარიგების ბათილობას ამ კოდექსის 48-ე მუხლით  
გათვალისწინებული შედეგებით.

მუხლი 47. ხაფულდებულობა გარიგების სანოტა-  
რო ფონმისა და მიხი დაუცველობის  
შედეგები

სანოტარო წესით გარიგების დამოწმება სავალ-  
დებულოა მხოლოდ კანონით მითითებულ შემთხვე-  
ვებში. ასეთ შემთხვევებში დაუცველობა სანოტა-  
რო ფონმისა, რომელსაც კანონი მოითხოვს, იწვევს  
გარიგების ბათილობას ამ კოდექსის 48-ე მუხლით  
გათვალისწინებული შედეგებით.

თუ ერთმა მხარემ მოლიანად ან ნაწილობრივ

შესძლულა გარიგება, რომელიც სანოტარო წესით  
დადგისტურებას მოითხოვს, ხოლო მეორე შესახე  
თვეს აჩიდებს გარიგების სანოტარო წესით დაუკირავა  
შებას, სისამართლის შეუძლია იმ მხატვის შესახებ და  
ნით, რომელმაც გარიგება შესძლულა, სცხოს გა-  
რიგება დადგებულად, თუ ეს გარიგება კანონისაწი-  
ნალმდებარს არაუერს ან შეიცავს; ასეთ შემთხვე-  
უში გარიგების შემდგომი სანოტარო გაფორმება  
საქორო აღარ აჩინს.

შესწო 48. ბათილობა გარიგებისა, რომელიც კა-  
ნონის მოთხოვნებს არ შეეხაზება

ბათილია გარიგება, რომელიც კანონის მოთხოვ-  
ნებს არ შეესაბამება. ბათილი გარიგების თითოეუ-  
ლი მხარე მოვალეა დაუბრუნოს მეორე მხარეს  
უელაფერი, რაც გარიგებით მიიღო, ხოლო როცა  
მიღებულის ნატურალ ღაბრუნება შეუძლებელია,  
იუსტიციუროს მისი ღირებულება ფულად, თე კა-  
ნონში არ არის გათვალისწინებული გარიგების ბა-  
თილობის სხევ შედეგები.

შესწო 49. სახელმწიფოსა და საზოგადოების ინ-  
ტერესების საწინააღმდეგო მისინოთ და-  
დებული გარიგების ბათილობა

თე გარიგება დადებულია ისეთი მისინოთ, რომე-  
ლიც შეგნებელად ეწინააღმდეგება სოციალისტური  
სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს, მა-

შინ, იმ შემთხვევაში, როცა ასეთი გამომდინარე  
ვი მხარეს ქვემდიდა და გარიგება თრივე მხარეს მდე,  
რაა შესტულებული — სახელმწიფოს შემთხვევაში  
ჩიტოცებება ყველაფერი, რაც მათ ჭარბების მიზან  
იღეს; თუ გარიგება შესტულებულია მხოლოდ ერ-  
თი მხარის მიერ, მაშინ შეორე მხარეს გადახდება  
ის, რაც მან პირებილი მხარისხვინ მიიღო და ისიც  
რაც პირებილი მხარეს მისგან მიღებულის ასანაშლუ-  
რებლად ერგებოდა. თუ განხრას ქვემდიდა მხო-  
ლოდ ერთ მხარეს, მაშინ ყველაფერი, რაც მან გა-  
რიგებით მიიღო, უნდა დაუბრუნოს მეორე მხარეს,  
ხოლო რაც მა უკანასკნები მიიღო ან მას შესტუ-  
ლებულის ასანაშლურებლად ერგება, უნდა ჩი-  
ტოცების სახელმწიფოს შემოსავალში.

მუხლი 50. ოურიდიული პირის მიერ დადებული  
იხეთი გარიგების მათვლობა, რომელიც  
ეწინააღმდეგება მის მიზნებს

პათილია ოურიდიული პირის მიერ დადებული  
გარიგება, რომელიც ეწინააღმდეგება იმ მიზნებს,  
რაც გათვალისწინებულია მას წესდებას, დებუ-  
ლებისა ან ამვერი ირგანიზაციების შესხებ საერ-  
თო დებულებაში.

იხეთ გარიგებათვალის, შესაბამისად, გამოიყე-  
ნება ამ კოდექსის 48-ე და 49-ე მუხლებში გათვა-  
ლისწინებული წესები.

შესლი 51. თხუთმეტი წლის ასაკს მიუღწია  
არასრულწლოვანის შიერ დადებული  
გარიცების ბათოლომე

პირვერი მიერ

ბათოლია გარიცება, დადებული თხუთმეტი წლის  
ასაკს მიუღწიავდი არასრულწლოვანის შიერ იმ  
გარიცებების გარდა, რომელებიც კათვალისწინებუ-  
ლია ამ კოდექსის მე-13 მუხლის მეორე და მესამე  
ნიუილში.

ასეთი გარიცების მონაწილე ყოველი მხარე მო-  
ვალეა დაუბრუნოს მეორე მხარეს ყველაფერი,  
რაც მან გარიცებით მიიღო, ხოლო თუ მიღებულის  
ნაერთით დაბრუნება შეუძლებელია, ონაბეჭდავრის  
შინი ღირებულება უკალ.

გარდა ამისა, ქმედუნარიანი მხარე მოვალეა  
ანაბეჭდავრის არაქმედუნარიან მხარეს მის შიერ  
გაწეული ხარჯები, ფერეოვე ის, რაც მის ქონებას  
დაკავლა ან ზიანი მიადგა, თუ ქმედუნარიანმა მხა-  
რემ იცოდა ან უნდა სცოლნოდა, რომ მეორე მხა-  
რე არაქმედუნარიანი იყო.

შესლი 52. არაქმედუნარიანი აღიარებული მო-  
ქალაქის შიერ დადებული გარიცების  
ბათოლომე

ბათოლია გარიცება დადებული მოქალაქის  
შიერ, რომელიც არაქმედუნარიანი არის აღიარე-  
ბული სულით ფალმურობის ან ჰერასუსტობის  
გამო.

საეთი გარიგების მიმართ ვამოიყენება ასე კულტურული სის 51-ე მუხლით გათვალისწინებული წესები.

ერმან რუბენ

მუხლი 53. თხუთმეტიდან ოცნაშეზე წლებში დაგენერირებულ გარიგების მიზანი მიერ დადგენული გარიგების ბათილობა

თხუთმეტიდან ოცნაშეზე წლის მავის ასახულის ასახულის წლოვანის მიერ მისი შემძლებელი, შევიღებულების ან მსრუნველის თანხმობის გარეშე დადგენული გარიგება, შემძლებელი, შევიღებლების ან მსრუნველის საჩიხელით სასამართლოს მიერ ბათილად იქნება ცნობილი.

თუ საეთი გარიგება ბათილად არის ცნობილი, მოქმედებს ამ კოდექსის 51-ე მუხლით გათვალისწინებული წესები.

ამ მუხლის წესები არ ვრცელდება თხუთმეტიდან ოცნაშეზე წლის მავის ასახულის წლოვანის მიერ დადგებულ ისეთ გარიგებაზე, რომელიც დადგებულია ამ კოდექსის მე-14 მუხლის პირებით და მესამე ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 54. ბათილობა იმ შოქალაქის მიერ დადგენული გარიგებისა, რომელიც არ შეონდა თავისი მოქმედების შიგნიერების შეგნების უნარი

გარიგება, დადგებული თვისაც ქმედება რიგით, მაგრამ გარიგების დადგების მომენტში ისეთ მდგრა-

მარეობაში მყოფი მოქალაქის მიერ, რომელსაც  
შეეძლო გაეგო თავისი მოქმედების შნიშვნელობა  
და წარემატო ივი, სახისძიროს მიერ ცნობილი  
აქცები ბათოლად იმ მოქალაქის საჩიხელებულების

თუ ასეთი გარიგება ცნობილია ბათოლად, კო-  
კლი მხარე მოვალეა დაუბრუნოს მეორე მხარეს  
კულაფერი, რაც მან გარიგებით მიიღო ხოლო, თუ  
მიღებულის ნატურად დაბრუნება შეუძლებელია,  
უნაზღაუროს მისი ღირებულება ფრელად.

გარდა მისი, მხარეს, რომელსაც გარიგების და-  
ფების მომენტში ან შეეძლო გაეგო თავისი მოქმე-  
დების შნიშვნელობა ან წარემატო ივი, მეორე მხა-  
რეშ უნდა უნაზღაუროს ხარჯი, იგრეთვე, რაც მის  
ჭინებას დაავლდა ან ზიანი მიაღვა, თუ მან იცოდა  
ან უნდა სცოდნოდა მასთან გარიგების დამდები  
მოქალაქის ასეთი მდგრადიაჩობა.

### პუსლ. 55. ცდომილების გავლენით დადებული გარიგების ბათოლობა

გარიგება, დადებული არსებითი შნიშვნელობის  
ქვენე ცდომილების გავლენით, უნდა ცნობილ იქ-  
ნის ბათოლად იმ მხარის საჩიხელით, რომელიც ცდო-  
მილების გავლენით მოქმედებდა.

თუ ასეთი გარიგება ცნობილია ბათოლად, კო-  
კლი მხარე მოვალეა დაუბრუნოს მეორე მხარეს  
კულაფერი, რაც მას გარიგებით მიუღია, ხოლო თუ  
მიღებულის ნატურად დაბრუნება შეუძლებელია,  
უნაზღაუროს მისი ღირებულება ფრელად.

მხარეს, რომლის საჩიელოთაც გატრავნა და-  
ბილია ბათილად, უფლება აქვს მოსახურობის უფლება; ॥  
მხარეს თავისი ხაზების ანაზღაურებრებული კურსები კ  
ე ის, რაც მის ქონებას დააკლდა ონ ზიანი მიაღვა,  
თუ დაამტკიცებს, რომ ცდომილება წარმოიშვა  
მეორე მხარის ბრალით. თუ ეს ის დამტკიცება, მხა-  
რე, რომლის საჩიელოთაც გატრავნა ცნობილია ბა-  
თილად, მოვალეა აუნიშნულოს მეორე მხარეს  
ხაზები და ავტორე ის, რაც მის ქონებას დააკლ-  
და ონ ზიანი მიაღვა.

მუხლი 56. ბათილობა გარივებისა, რომელიც და-  
დებულია მოტყუების, ძალადობის, მუ-  
ქარის, ერთი მხარის წარმომადგენლის  
მეორე მხარესთან ბოროტგანზრახვით  
შეთანხმების ან მძიმე გარემოებით  
დამოხევევის შედევად

გარივება, დაცებული მოტყუების, ძალადობის,  
მუქარის, ერთი მხარის წარმომადგენლის მეორე მხა-  
რესთან ბოროტგანზრახვით შეთანხმების შედევად,  
ავტორე ისეთ გარივება, რომელიც იმულებული  
იყო დაედო მოქალაქეს მძიმე გარემოებათა დამოხ-  
ევების გამო მისთვის უაღრესიდ აზახელსაყრელი პი-  
რობებით, ბათილად იქნება ცნობილი დაზიანებუ-  
ლის საჩიელოა ონ სიცელმწიფო, კოოპერაციული  
ან სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის საჩიე-  
ლოთ.

თუ გარიგება ცნობილია ბათილად ეჭვის გარეშე  
ჟემთაღნიშნელ საფუძველზე, დანარებულ მხარე  
უბრენდება კედაური რაც მეორე მხარეში კარგულად ი  
ყველა მიიღო, ხოლო, თუ მიღებულის ნატურალური მიზანი  
ბრუნება შეიძლებელია, აუნაზღაურდება მისი ღი-  
რებულება ფულად. ქონება, რომელიც გარიგების  
საფუძველზე დანარალებულია მეორე მხარის ავან  
ბილო, აგრეთვე რაც მას ერგებოდა მეორე მხარი-  
სთვის გადაცემულის ასანაზღაურებლად. ჩატიც-  
ება სახელმწიფოს შემოსავალში. თუ სახელმწიფო  
შემოსავალში ქონების ნატურად გადაცემა შეუ-  
ძლებელია, მისი ღირებულება დანარალებულს გა-  
დასდება ფულად.

გარდა ამისა, დანარალებულს მეორე მხარემ  
უნდა აუნაზღაუროს გაწირელი ხარჯი, აგრეთვე ის,  
რაც ქონების დაკავლა ან ზოანი მიაღდეა.

#### მუხლი 57. მოჩვენებითი და თვალობის კანი- გების ბათილობა

ბათილია გარიგება დატებული მხოლოდ მოსა-  
ხვენებლად უიმგანწირავოდ, რომ მას ოერიდიუ-  
ლი შედევები მოპყევს (მოჩვენებითი გარიგება).

თუ გარიგება დატებულია სხვა გარიგების და-  
საფარავად (თვალობის კური გარიგება), მაშინ გა-  
მოყენება შესაბამისი დებულება იმ გარიგებისა,  
რომელიც მხარეებს ნამდვილად ქვინდათ მსედვე-  
ლობაში.

## მუხლი 58. მომენტი, სათვანაც გარიგება მართვის ითველდება

შათოლად აღიარებული გარიგებაზე მუსლიმისტები  
თიღად მისი დადგების მომენტიდან. ოღონძ, თუ  
გარიგების შინაგარსიდან გამომდინარეობს, რომ მი-  
სი შეწყვეტა შეიძლება მსოლოდ მომავლისთვის,  
მაშინ მათოლად აღიარებული გარიგების მოქმედე-  
ბა წადება მომავლისთვის.

## მუხლი 59. გარიგების ნაწილის ბათოლომის შედე- ვება

გარიგების ნაწილის ბათოლომია არ იწევეს მისი  
სხვა ნაწილების ბათოლომის, თუ შეიძლება კიდ-  
რაუდოთ რომ გარიგება დაიღებოდა მისი ბათოლ-  
ნაწილის გარეშეც.

## მუხლი 60. პირობით დადგენერაცია გარიგება

გარიგება ითველება გადადებითი პირობით და-  
დებულად, თუ მხარეებმა გარიგებით გათვალისწი-  
ნებული უფლებებისა და მოვალეობების წარმო-  
შობა დაუკავშირეს გარემოების, ჩოშლის შესახე-  
ბაც არ არის ცნობილი შეიქმნება იგი თუ არა.

გარიგება ითველება გაფეხშებითი პირობით დადე-  
ბულად, თუ მხარეებმა გარიგებით გათვალისწინე-  
ბული უფლებებისა და მოვალეობების მოსპობა და-  
უკავშირეს გარემოების, რომლის შესახებაც არ  
არის ცნობილი შეიქმნება იგი თუ არა.

თუ პირობის დაღვოში არაეკოლსინდიხედრიც  
დამბრული მხარეში, რომელისთვისაც პირობის და-  
ღვოში არ არის ხელსაყრელი, პირობა დამდგარებ  
ჩითველება.

ერმიტული

თუ პირობის დაღვოში არაეკოლსინდიხედრიც  
შეუწყო ხელი მხარეში, რომელისთვისაც პირობის  
დაღვოში ხელსაყრელია, პირობა არ ჩითველება  
დამდგარებად.

### თავი ვორობი

## წარმომადგენლობა და რწმუნებულება

### მუხლი 61. წარმომადგენლობა

ვარიგება, დადებული ერთი პირის (წარმომა-  
დგენლის) მიერ მეორე პირის (წარმოდგენილის) სა-  
ხელით ჩრდილებულებაზე, კანონშე ან აღმინისტრა-  
ციულ ქადაგში დამკარებული უფლებამოსილების ძა-  
ლით, უშეაღოდ ქმნის, ცელის ან სპობს წარმოდგე-  
ნილი პირის უფლებებსა და მოვალეობებს.

უფლებამოსილება შეიძლება იგრივეე ცხად-  
ყოფილი იყოს ეთაზებით, რომელშიც წარმომა-  
დგენელი მოქმედებს (კამყიღეველი, მოლაჟე და  
სხვ. საკალო ვაქტონბაში).

წარმომადგენელს არ შეუძლია დადოს წარმო-  
დგენილის სახელით ვარიგება თვეის თვეთან და

არც სხვა პირთან, ჩომლის წარმომადგენლის  
მიეკუ დროს არის.

არ დაშვება წარმომადგენლის მეუღლების წარმომადგენლის  
თა გარიგების დადგება, ჩომელიც შემდეგ გადატენის  
შიხედვით შეიძლება დოდოს მხოლოდ პირადად, და  
ასევე კანონით სავანებოდ მითითებული სხეა გარი-  
გებებისა.

მუხლი 62. არაუფლებამოსილი პირის მიერ ან უფ-  
ლებამოსილების გადამეტებით დადე-  
ბული გარიგების შედეგები

გარიგება, დადებული სხეა პირის სახელით იმ  
პირის მიერ, ჩომელიც არ აყო უფლებამოსილი  
დაედო გარიგება, ან ჩომელმაც გარიგება უფლება-  
მოსილების გადამეტებით დადო, ქმნის, სცვლის ან  
სპობს წარმოდგენილისათვის სამოქალაქო უფლე-  
ბებს და მოვალეობებს მხოლოდ იმ შემთხვევაში,  
თუ წარმოდგენილი პირი შემდგომ მოიწონებს ამ  
გარიგებას.

წარმოდგენილი პირის მიერ შემდგომი მოწონე-  
ბა გახდის გარიგებას კანონიერად მისი დადების  
მომენტიდან.

მუხლი 63. რწმუნებულება

რწმუნებულებად ითვლება ერთი პირის მიერ  
მეორე პირისათვის მიცემული წერილობითი უფ-  
ს

ლუბამოსილება, რათა მან ვასწიოს წარმომადგენ  
ლობა მესამე პირის წინაშე:

თურილილ პირს რწმუნებულება ჰქონია უფრო და ის  
შეიცეს მხოლოდ ისეთ გარიგებათა ღამის გადასაცემა  
რომლებიც აზ ეწინააღმდეგება მის წესდების (დე-  
ბულებას) ან ამ სახეობის თარგანიზაციათა შესა-  
ხებ საერთო დებულებას.

#### მუხლი 64. რწმუნებულებაზი, რომელიც ხატირო- ბენ სანოტარო წესით დამოწმებას

რწმუნებულება ისეთ გარიგებათა დასადებად,  
რომლებიც სანოტარო ფორმის მოიხოვს, აუზე-  
ოვ რწმუნებულება სახელმწიფო, კომეტიკული  
ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინაშე წარ-  
მოშადებუნდობისათვის უნდა დამოწმდეს სანოტა-  
რო წესით, გარდა ამ კოდექსის 66-ე მუხლის  
გათვალისწინებული შემთხვევებისა და აუზეთ-  
ვე შემთხვევებისა, როდესაც სპეციალური წესე-  
ბით დაშეებულია რწმუნებულების სხვა ფორმა.

#### მუხლი 65. რწმუნებულებაზი, რომელთა დამოწმე- ბა ხელი წესით სდება

რწმუნებულება ხელშესახსრის და შრომითს ურთი-  
ერთობასთან დაკავშირებულ სხვა საზღაურის მი-  
საღებად, დეტორისა და ვამომცვენებლის ვასამზე-  
ლოს, პერის, დახმარებისა და სტიპენდიის მისაღე-  
ბად, თამაცვების მისაღებად სახელმწიფო შრომითს  
შემნახველ სალაროდან და კორესპონდენციების,

მათ შორის ფრელადის, და ამანათების მისაცემა  
შეიძლება დამოწმოს თრგვინიზაციამაც, სადაც ა-  
რწმუნებული მუშაობის ან სწავლობის, საქართველოს კ-  
ლობაშ, ხადაც იგი ქსოვებობს, და აგრუფებული კ-  
ნარელი სამკურნალო დაწესებულების აღმინის-  
ტრაციის, ხადაც იგი სამკურნალოდ იმყოფება.

სამხედრო მოსამსახურის აწმუნებულებას, და-  
მოწმებულს სათანადო სამხედრო ნაწილის საზღ-  
ულობის მიერ ან იმ პისტორიალის უფროსის მიერ, ხა-  
დაც სამხედრო მოსამსახურე სამკურნალოდ იმ-  
ყოფება, აქვს სანოტოს წესით დამოწმებული  
აწმუნებულების ძალა.

პატიმრის მიერ გაცემულ აწმუნებულებას  
ამოწმებს სამატიმრო აღვიღის აღმინისტრაცია.

მუხლი 66. სახელმწიფო, კოოპერაციული და სა-  
ზოგადოებრივი ორგანიზაციების აწმუ-  
ნებულებაზი

სახელმწიფო ორგანიზაციის სახელით აწმუნე-  
ბულება ხელმოწერილი უნდა იყოს ამ ორგანიზა-  
ციის ხელმძღვანელის მიერ და მას დასმული უნდა  
ჰქონდეს ბეჭედი.

კოოპერაციული ან საზოგადოებრივი ორგანიზა-  
ციის სახელით აწმუნებულება ხელმოწერილი უნ-  
და იყოს ამ ორგანიზაციის წესდებით (დებულე-  
ბით) სამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ და  
მას დასმული უნდა ჰქონდეს ამ ორგანიზაციის ბე-  
ჭედი.

სახელმწიფო, კოოპერაციული ან საბოჭადოები  
რივი თრიგანიზაციის სახელით გაცემული რესტრიციული  
ბუღაზია ფულისა და სხვა ქონებრივ ფასებში დარჩენილი იყ-  
ვის მისაღებად ან გასაცემად ხელმოწერილი უძღა იქ-  
ნეს ავტორული ამ თრიგანიზაციის მთავარი (ეფროსი)  
ბუღალტრის მიერ.

ბანქში ოპერაციების საწირმოებლად და საგარეო  
ვაჭრობის გარიგებათა დასაღებად რესტრიციულე-  
ბათა გაცემის წესი და ფორმები კინისას დურიება  
სპეციალური წესებით.

#### მუხლი 67. რესტრიციულების ვადა

რესტრიციულების მოქმედების ვადა არ შეიძლე-  
ბა აღემატებოდეს სამ წელიწადს; თუ რესტრიციე-  
ლებიში ვადა არ არის აღნიშნული, მის ძალა იქნა-  
ერთი წლის განმავლობაში მისი გაცემის დღიდან.

#### მუხლი 68. რესტრიციელების მათოლობა

წერილობითი ფორმის დაუცველობა, ხოლო იმ  
შემთხვევაში, როცა მითოვებულია სანოტარი წე-  
სით დამოწმება, დაუცველობა სანოტარი ფორმისა  
გამოიწვევს რესტრიციების ბათოლობებს.

რესტრიციელება, რომელშიც არ არის აღნიშნუ-  
ლი მისი შედეგის თარიღი, ბათოლო.

#### მუხლი 69. რესტრიციელების გადაცემა

პირი, რომელსაც რესტრიციელება მოეცა, მოვა-  
ლეა სიტყვადან შეასრულოს მოქმედება, რომლისთვი-

საც იგი უფლებამოსილია. მას შეწირთა  
ქმიდების შესრულების რწმუნებულების მაჩვენებელია. ი  
სხვა პირს, თუ საამისოდ უფლებამოსი უკიდურესია კ  
ბულებით ან იძულებულია ასე მოქმედი შექმნილ  
ვითარების გამო, რწმუნებულების მიმცემი პირის  
ინტერესების დახაცევად.

რწმუნების გადაცემის წესით გაცემის რწმუნებულება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.

რწმუნების გადაცემის წესით გაცემის რწმუ-  
ნებულების მოქმედების ვადა ან შეიძლება აღემა-  
ტებოდეს იმ ძირითადი რწმუნებულების მოქმედე-  
ბის ვადის, რომლის საფუძველზეც არას იყო გაცე-  
მის.

რწმუნებული რომელმაც თავისი უფლებამოსი-  
ლება სხვა პირს გადასცა, მოვალეა შეატყობინოს  
ამის შესახებ რწმუნებულების მიმცემს და მიმწო-  
დოს საჭირო ცნობები ამ პირის შესახებ, რომელ-  
საც გადასცა უფლებამოსილება. ამ მოვალეობის  
შეუსრულებლობა აკისრებს უფლებამოსილების  
გადამცემის ისეთივე პისუხისმგებლობას ამ პირის  
მოქმედებისათვის, რომელსაც უფლებამოსილება  
ვადასცა, როვთისიც თვისი პირიადი მოქმედებისა-  
თვის ეკისრებოდა.

## მუხლი 70. რწმუნებულების შეწირთა

რწმუნებულება შეწირდება:

- 1) რწმუნებულების ვადის გასვლის გამო;
- 2) რწმუნებულების გამცემი პირის მიერ რწმუნებუ-

ლების გაუქმების გამო; 3) იმ პირის უარის შედეგი გად, რომელსაც ჩწმუნებულება მიეკა; 4) ლების დოკუმენტის პირის მოსპობის გამო, რომლის სუსტყოფადაც გაცემულია ჩწმუნებულება; 5) ურთილესობის რისტორიუმის რის მოსპობის გამო, რომელსაც მიეკა ჩწმუნებულება; 6) ჩწმუნებულების გამცემი მოქალაქის გარდაცვალების, არაქმელუნარიანიდ აღიარების, უცვალოდ დაკარგულად აღიარების ან გარდაცვალიდ გამოკეთდების გამო; 7) იმ მოქალაქის გარდაცვალების, არაქმელუნარიანიდ აღიარების, უცვალოდ დაკარგულად აღიარების ან გარდაცვალიდ გამოკეთდების გამო, რომელსაც ჩწმუნებულება მიეკა.

ლის ან ამ კოდექსის 473-ე და 474-ე მუხლებში აღ-  
200

ნიშნული პირების მიმართვა სათანადო ისტურული  
საღმი განცხადებით შემსის ან დამარების დანიშნუ-  
ნის შესახებ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სწორი ჩარცე-  
ლობის ვალის მიმდინარეობა შექმედდება პშვილის მიზან-  
დამდინარების დანიშნუნაშვერ, ან მანამშვერ, სანამ განმ-  
ცხადებებს ამაზე უარს ეტყოდნენ.

### თავი თავითამორი

სოციალისტური რომელი გადარჩენასთან  
ერთად უისტორია ჭარილობილი გადარჩე-  
ლებანი

მუხლი 485. სოციალისტური ქონების გადარ-  
ჩენის დროს მომსდარი ზოგის ანა-  
ზღაურება

ზოგი, რომელიც მოქალაქეებ საფრთხეში მყოფი  
სოკიალისტური ქონების გადარჩენის დროს განი-  
ცალა, უნდა აანაზღაუროს თავითამორისამ, რომლის  
ქონების გადარჩენისაც დაზარალებული ცდი-  
ლობდა.

ასეთი ზოგის ანაზღაურების შემთხვევაში მო-  
ქმედდებს, შესაბამისისად, ამ კოდექსის 457-ე მუხლის  
პირველი ნაწილის, 468-ე, 470-ე, და 472-ე მუხლების,  
473-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილების,  
474-ე—477-ე და 479-ე—484-ე მუხლების წესები.



ერთხელ უსაფრთხოდ გადაინი ან დაუმუშავები  
უკავებად რამითობაში ვალუტაში მოვალეობის

მტება 486. უსაფრთხოდ შეძენილი ან დაშო-  
გილი ქონების დაბრუნების მოვა-  
ლეობა

პირი, რომელმაც კანონით ან გარიგებით დაღე-  
ნილი საფრთხელის გაჩერები შეიძინა ქონება სხვის  
ხაზზე, მოვალეა დაუბრუნოს უკანასკნელს უსა-  
ფრთხოდ შეძენილი ქონება.

ისეთი მოვალეობა წიარმოიშობა ამ შემთხვევა-  
შიც, როცა ქონების შეძენის შემდგომში საფრთხე-  
ლი მოვალეობა.

თუ უსაფრთხოდ შეძენილი ქონების ნატურად  
დაბრუნება შეუძლებელია, უნდა ანაზღაურდეს მისი  
ღირებულება, რაც ამ ქონებას შეძენის მომენტში  
ჰქონდა.

ქონება, რომელიც შეძენილია სხვის ხაზზე არა  
გარიგების მიხედვით, არამედ ისეთი მოქმედების  
შედეგად, რომელიც შეგნებული სოციალისტური  
სახელმწიფოს და სამოვალოების ინტერესების სა-  
წინააღმდეგოა, თუ მისი კონფისიაცია არ არის  
მოსახლეობი, უნდა სახელმწიფოს შემოსავლად ჩა-  
რიცხოს.

პირი, რომელმაც ქონება უსაფრთხოდ მიიღო,  
მოვალეა ავტორე დაბრუნოს ან ანაზღაუროს

მთელი შემოსავალი, რაც მან იმ ქონებით მოიკიდა  
ვა ან უნდა მოგპოვებინა იმ დროიდან, შეიტყო  
შეიტყო ან უნდა შეეტყო, რომ ქონება, უკონია მათ და  
ლოდ იქნეს მიღებული.

ეს წესები ერცელდება იმ შემთხვევაზედაც, რო-  
ც ქონება დაზოგილია სხვის ხარჯზე კანონით ან  
ხელშეკრულებით დადგენილი საფუძვლის გარეშე.

### მუხლი 487. ქონება, რომელიც დასაბუნებელი არ არის

არ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს როგორც უსა-  
ფუძლოდ შეტენილი:

1) ქონება, რომელიც გადაცემულია ვალდებუ-  
ლების შესასრულებლად, შესრულების ვადაზე  
დორე;

2) ქონება, რომელიც გადაცემულია ვალდებუ-  
ლების შესასრულებლად, ხანდაზმულობის ვადის  
გასვლის შემდეგ, როდესაც ასეთი შესრულება და-  
შევსრულია კანონით;

3) სააეტორო გასამრჩევლო, გასამრჩევლო აღმო-  
ნენისა თუ ისეთი გამოვონებისათვის, რომლისთვი-  
საც სააეტორო მოწმობა გაცემული, ავრეთვე გა-  
სამრჩევლო რაციონალიზატორული წინადაღები-  
სათვის, — იმ შემთხვევაში თუ ასეთი გასამრჩე-  
ვლო გადახდილია ორგანიზაციის, მაგრა ზედმეტად  
ან ისეთი საფუძვლით, რაც შემდეგში მოისპო, თა-  
ნაც ნებაყოფლობით და ისე, რომ ინგირიშში შეც-

დომა ან მოსელია და მიმღების მხრივ გადაკეთდება  
სინდისიერებას აღვილა ან ქონია;

4) ჯანმრთელობისთვის უნების მოყვარულობა; ი  
სიკედილთან დაკავშირებული ზოანისტიკა; მწერების  
მეტად გადახდილი საზღვრო, თუ მიმღების მხრივ  
არავეთილსინდისიერებას აღვილი ან ქონია.



ეროვნული  
სამართლებრივი

ტ ბ რ 0 17

## საავტორო საშპრეზიდენტო

შესლი 488. ნაწარმოებები, რომლებშედაც სა-  
კონკრეტული უფლება ვრცელდება

საავტორო უფლება ვრცელდება მუკნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების შემსრულებელი მათი ფორმისა, დანიშნულებისა და ღიასუბისა, აგრეთვე მათი რეპროდუქციის წესისა.

საავტორო უფლება ვრცელდება ნაწარმოებებზე, რომლებიც გამოქვეყნებულია ან არა გა-  
მოქვეყნებული, მაგრამ გამოხატულია რამე მიმდინარე ფორმით. საც აგრძობის შემოქმედების ნიუოფის რეპროდუქციის შესაძლებლობის იძლევა (ხელნაწერი, ნახატი, გამოსახულება, საჯაროდ წარ-  
მოიქმია ან შესრულება, ფოტი, შექანიერია ან მა-  
გნიტური ჩანაწერი და შისტ.).

შესლი 489. საავტორო უფლების საფარი

საავტორო უფლების საფარი შეიძლება იყოს:

ზეპირი ნაწარმოები (წარმოთქმული სიტყვა-  
ლექცია, მოხსენება და შისტ.);

წერილობითი ნაწარმოები (ლიტერატურული განვითარების და ა. შ.);

ღრამატელი და მუსიკალურ-ღრამულურ უძრავი; წერილობი, ავტორები მუსიკალური ნაწარმოების ტექსტის ქსტიანი ან ურიესტო;

თარიღმანი;

სკუნარი და სასცენარი გეგმა;

კინოფილმი, სატელევიზიო ფილმი, რადიოვადაცემა და სატელევიზიო გადაცემა;

ქოჩეოვანეფილი ნაწარმოები და პარტიმიმი, რომელთა დაღვმის შესახებ არსებობს წერილობითი ან სხვა სახის მითითებები;

ფურნერითი, სკულპტურა, არქიტექტურული გრაფიკული და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოები, ილუსტრაცია, ნახატი, ნახატი;

გეგმა, უსკონი და პლასტიკური ნაწარმოები, რომლებიც მეცნიერებას, ტექნიკას ან სკუნასერიამატელ თე მუსიკალურ-ღრამატელი ნაწარმოების დადგმას ეხება;

გეოგრაფიული, გეოლოგიური და სხვა მეცნიერების;

ფოტოგრაფიული ნაწარმოები და ფოტოგრაფიის ანალიგიური სამუალებებით შექმნილი ნაწარმოები;

გრამატონის ფირფიტები და ნაწარმოვალი  
ნიკერი ჩანაწერის სხვა სიხეობანი;

სხვა ნაწარმოვალები.

ეროვნული

სააკტორო რულება ფოტოგრაფიული და კინემატოგრაფიული  
მოებზე და ფოტოგრაფიის ანალოგიური საშუალე-  
ბებით შექმნილ ნაწარმოვალზე დაცული იქნება, თუ  
ნაწარმოვალის ყოველ კალზე აღნიშნულია ავტორის  
სიხელი და ნაწარმოვალის გამოქვეყნების აღვილი  
და წელი.

მუხლი 490. გამოქვეყნებული ნაწარმოვალი

ნაწარმოვალი გამოქვეყნებულია ითვლება, თუ  
იგი ვამციცელება, საჯაროდ შესრულებულია, სა-  
ჯარით ჩამოვალია, გაღიაურებულია რაოდით თუ  
ტულევაზითა ან, თუ მას სხვა ტაბე საშუალებით  
მოქალაქეთა განუსახლვრელი წრე გაუცნო.

ნაწარმოვალის გამოქვეყნებად არ ითვლება ინ-  
ფორმაცია ნაწარმოვალის შესხებ, მისი შინაარსის  
გადმოცემით, იგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრი-  
თა საბჭოს დადგენილებებით გათვალისწინებულ  
შემთხვევებში ნაწარმოვალის გამრავლება ხელნა-  
წერის უფლებით.

მუხლი 491. ხავტორო ულებება სსრ კავშირში  
გამოქვეყნებულ ნაწარმოვალზე

სააკტორო რულება ნაწარმოვალზე, ჩომელიც  
პირველია სსრ კავშირის ტერიტორიისე გამო-

ქვეყნდა ან თემცა არ გამოქვეყნებულა, მაგრამ  
რამე იძიექტური ფორმით სსრ კავშირის ტერი-  
ტორიაზე მოიპოვება, ეკუთვნის ავტორულურობას და  
მექენიდრეებს შათო მოქალაქეობის მფრინავაში ისე ე

### მუხლი 492. ხავტორო უფლება ხაზღვაზე- რეთ გამოქვეყნებულ ნაწარმოებზე

დაცულია ავტორუ საქართველოს სსრ და სხვა  
მოკეთების რესპუბლიკების იმ მოქალაქეების სა-  
ეტორო უფლება, რომელთა ნაწარმოებიც პირ-  
ვალად უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე გამო-  
ქვეუნებული, ან რამე იძიექტური ფორმით იქ  
მოიპოვება; ეს უფლება ეკუთვნით ავტორუ აუნიშ-  
ნელი მოქალაქეების მემკვიდრეებს.

სხვა პირთა საავტორო უფლება ნაწარმოებზე,  
რომელიც პირველად უცხო სახელმწიფოს ტერი-  
ტორიაზე გამოქვეყნდა ან რამე იძიექტური ფორ-  
მით იქ მოიპოვება დაცულია მხოლოდ სსრ კავში-  
რის მიერ დაცულებულ სათანადო საერთაშორისო  
შეთანხმებათა საფუძველზე და შათ ფარგლებში.

### მუხლი 493. ავტორის უფლებები

ავტორის უფლება აქვს:

1) გამოაქვეყნოს თავისი ნაწარმოები, მოახ-  
დინოს მისი რეპროდუქცია და გაავტოროს იყი-  
კველა ხერხით, რაც კანონითაა დაშვებული თავისი  
ნამდებელი სახელით, პირობითი სახელით (ტსევლო-  
ნიმით) ან სახელის ილუნიშვნელად (ანონიმურად);

- 2) მიითხოვთ ნაწარმოების ხელშეწევების  
ბას უზრუნველყოფა; ერთიანული
- 3) მიიღოთ საზღვრის სხვა პირის მფრიდავის მოების გამოყენებისათვის, კანონში აღნიშნული  
შემთხვევების გაჩიდა.

საავტორო გასამრჯველოს განაცემებს აწესებს  
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გარდა ამ შემ-  
თხვევებისა, როდესაც სსრ კავშირის კანონმდებლო-  
ბა ამ განაცემების დამტკიცებას სსრ კავშირის  
გამცემლობას დევოვნებს.

თუ საავტორო გასამრჯველოს დამტკიცებული  
განაცემები არ არსებობს, დეტორის საზღვრის ნა-  
წარმოების გამოყენებისათვის განისაზღვრება მხა-  
რეთა შეთანხმებით.

#### მუხლი 494. თანავაკრონბა

საავტორო უფლება ნაწარმოებზე, ჩომელიც  
შექმნილია ორი ან მეტი პირის საერთო ურთმოსი  
(კოლექტორის ნაწარმოები) დაუთვით თანავაკრო-  
ნებს ერთობლივ, იმისღა მოუხედავად ერთ განე-  
ყოფელ მოლისნობას წარმოადგენს ასეთი ნაწარმო-  
ები, თუ შეღვება ნაწილებისაგან, რომლებსაც  
თავისთავადი მნიშვნელობაც აქვთ. თითოეულ თანა-  
ვაკრორის აქვს საავტორო უფლება კოლექტორი ნა-  
წარმოების იმ თავისთავადი მნიშვნელობის, მქონე  
ნაწილზე, ჩომელიც მის მოერაა შექმნილი.

კოლექტორი ნაწარმოების ნაწილი თავისთავა-  
დი მნიშვნელობის მქონედ მიიჩნევა, თუ შეიძლება

მისი გამოყენება ნაწარმოების სხვა ნაწილებისა  
და მოუკიდებლად.

ეროვნული

კოლექტიური ნაწარმოების საკუთხის უფლებების  
შის განხილულების წესი განისაზღვრება აეტორ-  
თა შეთანხმებით, რომელიც შეიძლება ნებისმიერი  
ფორმით გამოიხატოს. საკუთხო უფლება აღნიშ-  
ნულ ნაწარმოებზე ხორციელდება ერთობლივ უკა-  
ლა აეტორის მიერ, ხოლო გასამრჯელო ნაწილები  
მათ შორის სსრ კავშირის კანონმდებლობით და  
იმ კოდექსით გათვალისწინებილი წესით.

#### მუხლი 495. ორჩილიული პირის საკუთხო უფლება

ორჩილიულ პირს საკუთხო უფლება ერთო-  
ნის იმ შემთხვევებსა და იმ ფარგლებში, რაც და-  
დგენილია სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ  
კანონმდებლობით.

#### მუხლი 496. საკუთხო უფლება ნაწარმოებზე, რომელიც შექმნილია სამსახურე- ბრივი დავალების შესრულების წესით

საკუთხო უფლება იმ ნაწარმოებზე, რომელიც  
შექმნილია სამეცნიერო ან სხვა ორგანიზაციაში  
სამსახურებრივი დავალების შესრულების წესით,  
უკრონის მის აეტორს. ამ ორგანიზაციის მიერ ასე-

თა ნაწარმოების გამოყენებისა და ფტორისათვის  
გასამრჩელის მოცემის წესს განსაზღვრული კულტურის  
კურსისა და საქართველოს სსრ კანონში დასტური ითაცა

### მუხლი 497. კრებულების შემდგროვნობის სავტორო უფლება

სავტორო უფლება ისეთ ნაწარმოებთა კრე-  
ბულზე, რომელიც გამიმე სავტორო უფლების  
საგანს არ წარმოადგენენ, როგორიცაა: კანონები,  
სასამართლოს გადაწყვეტილებები, სხვა ოფიცია-  
ლური დოკუმენტები, ხალხური შემოქმედების ნა-  
წარმოებები, რომელთა ფტორებიც უცნობია, ძვე-  
ლი აქტები და ძეგლები, აგრძოვე სხვა ნაწარმოე-  
ბები, რომელიც სავტორო უფლებით დაკურა არ  
არის, ყველონის კრებულის შემდგენელს, თუ მან  
კრებულში შეტანილი მისალა დამოუკიდებლად და-  
მიუშვეა ან მისი სისტემატიზაცია მოახდინა.

სავტორო უფლება ყერთვის აგრძოვე იმ პირს,  
რომელმაც დამოუკიდებლად დამტკიცებული აღნიშნული  
სახის კალექტურა ნაწარმოები.

ეს უფლება არ უშლის ხელს სხვა პირს გამო-  
აქვეყნოს იგივე ნაწარმოები; თუ მან ეს ნაწარმოები  
დამოუკიდებლად დამტკიცებული არ იყო სისტემაში მოი-  
ჟვანა.

კრებულის შემდგენელი, რომელმაც დამტკიცებული  
ან სისტემაში მოიუვანი და კრებულში შეიტანა ისე-  
თი ნაწარმოებები, რომელიც კისიმე სავტორო  
უფლების სფერის წარმოადგენს, სარგებლობის საფუ-

ტორი უფლებით ამ კრებულშე, ოღონქ ნაწარმოებთა დეტორების უფლებათა ურთიერთება: ილობის პირობით.

ს ი ს ლ ი რ ი ტ ი ე ე

მუხლი 498. ორგანიზაციის სავტორო უფლება  
პერიოდულ და სხვა გამოცემებში

ორგანიზაციას, ოოშელიც დამოუკიდებლად ან რომელიმე გამომცემლობის მეშეეობით იქვეყნებს მეცნიერელ კრებულებს, ენციკლოპედიურ ლექსიკონებს, ერანიალებს ან სხვა პერიოდულ გამოცემებს, ეკუთვნის სავტორო უფლება ამ გამოცემაზე მთლიანად.

აღნიშნულ გამოცემებში შეტანილ ნაწარმოებთა დეტორებს ეკუთვნით სავტორო უფლება თავიანთ ნაწარმოებზე.

მუხლი 499. სავტორო უფლება კონფიდენციალურებში,  
სატელევიზიო ფილმებში, რადიოგადა-  
ცემებსა და სატელევიზიო გადაცე-  
მებში

საეტორო უფლება კინოფილმშე ან სატელევიზიო ფილმშე ეკუთვნის იმ საწარმოს, რომელმაც იყო გადაიღო.

საეტორო უფლება სამოყვარელო კინოფილმშე ან სატელევიზიო ფილმშე ეკუთვნის მის დეტორის ან თანავეტორებს.

სკენირის ავტორს, კომპილიტორს, რედაქტორს  
და მდგრადას, მთავარ თმერატორს, მხატვარ-დამდგრად-  
შელს და სხვა ავტორებს, რომელთა ნაწილმომცემული  
შესულია კინოფილმსა ან სატელევიზიო პლატფორმის  
შემაღენელ ნაწილებაზ, ეკუთვნით საკუთრიო  
უფლება თავიანთ ნაწილმოებზე.

საეტორო უფლება რადიოგადაცემაზე და სა-  
ტელევიზიო გადაცემაზე ეკუთვნის გადაცემი რა-  
დიო თარგანიზაციას ან სატელევიზიო თარგანიზაცი-  
ას, ხოლო გადაცემებში შეტანილ ნაწილმოებებ-  
ზე — მათ ავტორებს.

### მუხლი 500. ავტორის ნაწილმოების გამოყენება სხვა პირის მიერ

ავტორის ნაწილმოების გამოყენება სხვა პირის  
მიერ შეიძლება მხოლოდ ავტორთან ან მის მე-  
მკვიდრეებთან დადებული ხელშეკრულების საფუ-  
ქველზე, გარდა კანონში აღნიშნული შემთხვევებისა.

იმ პირს, რომელმაც გამოიყენა სხვისი ნაწილმო-  
ები ახალი ნაწილმოების შესაქმნელად, ამ კოდექსის  
506-ე მუხლის 1 პუნქტით ვათეაღისწინებულ შემ-  
თხვევაში ეკუთვნის საკუთრიო უფლება მის მიერ  
შექმნილ ნაწილმოებზე.

ეს უფლება ხელს არ უშლის სხვა პირებს გა-  
მოიყენონ იგივე ნაწილმოები ახალი ნაწილმოების  
შესაქმნელად.

მუხლი 501. ნაწარმოების თარიღისა სხვა მასა



ყოველი გამოცემული ნაწარმოების შეტანის  
გაღიათოა მიმდინარე სხვა ენაზე ვეტერინარისტულ  
გარეშე, მაგრამ მისთვის შეტყობინების პირობით  
და იმ პირობით, რომ დაცული იყოს ნაწარმოების  
მოღიანობა და ისრი (ამ კოდექსის 503-ე მუხლი).

სათანადო იძევინისაკამ უნდა გაუცხავონს აფ-  
ტორს შეტყობინება, როგორც კი თარიღმანს მოიწო-  
ნებს, ვეტორის მოთხოვნით მას უნდა მოეცეს გა-  
სასიცავად ნაწარმოების თარიღმანის პირი.

თუ თარიღმანი ნაწარმოების მოღიანობას არ-  
ღვევს ან აზრს მისინჯებს, ვეტორს, ხოლო მისი  
სიყველის შემდეგ ამ კოდექსის 505-ე მუხლში აღ-  
ნიშნულ პირებს, უფლება იქვე გამოიყენონ და-  
ცვის საშუალებები, რაც დაღვენილია ნაწარმოე-  
ბის ხელშეწებლობის უფლების შეღაერების შემ-  
თხვევისათვის (ამ კოდექსის 512-ე მუხლი).

საქართველოს სსრ მინისტრითა საბჭოს დადგე-  
ნილებებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ნა-  
წარმოების ვეტორს უფლება იქვე მიიღოს გასამრ-  
ჯელო მისი ნაწარმოების გამოცემისათვის სხვა  
ენაზე სათარიღმნელად.

მუხლი 502. მთარიგმელის ხავტორი უფლება

მთარიგმნელს იქვე საავტორო უფლება თავის  
თარიღმანზე.

მთარგმნელის ეს უფლება ხელს არ უშენდებოდა  
პირებს დამოუკიდებლად თარგმნონ ივიენ წარმოშობის  
მოქმედი.

ერმოვრული

ს ი ს ლ ი რ ი ტ ი ა კ

მუხლი 503. ნაწარმოების ხელშეუხებლობის  
და ავტორის ხაზელის დაცვა მის  
სიცოცხლეში

ნაწარმოების გამოცემის, საჯაროდ შესრულებისა და სხვა სახით მისი გამოყენების დროს იქმა-  
ლელია რაიმე ცელილების შეტანა ავტორის ნებარ-  
თვის გარეშე როგორც თვით ნაწარმოებში, ასე მის  
სახელწილდებაში და ივტორის სახელში.

იქმალელია იგრეთვე ავტორის ნებართვის გა-  
რეშე ილუსტრაციების, წინამდებრეობის, ბოლოს-  
ტუვეობის, კომენტარიებისა და რაიმე სხვა განმარ-  
ტებების დართვა ნაწარმოებისათვის. მისი გამოცე-  
მის დროს.

მუხლი 504. ფსევდონიმით ან ანონიმურად გა-  
მოქვეყნებული ნაწარმოების ავ-  
ტორის უფლებების დაცვა

ფსევდონიმით ან ანონიმურად გამოქვეყნებული  
ნაწარმოების ავტორის ქონებითვის და პირად უფ-  
ლებებს, იმ დრომდე, სანამ ავტორი თვის ნამდვილ  
სახელს საყოველთაოდ არ გამოამეღვნებს, იცავ-  
ის ორგანიზაცია, რომელსაც ავტორისა უფლებების  
დაცვა ეკისრება.

ნელშექმებლობის  
დაცვა აფტორის ხელშეკრულების  
დრო

გვ. 11  
გვ. 11

აფტორის უფლება აქვს იმავე წესით, რა წესითაც  
ინიშნება ანდერძის იღმისჩელებელი (ამ კოდექსის 554-ე მუხლი) დანიშნოს პირი, რომელსაც იგი აქი-  
რებს ნაწარმოების ხელშეკრულობის დაცვას თა-  
ვისი სიკედილის შემდეგ.

აფტორის მიერ დანიშნული პირი იყავს ნაწარ-  
მოებთა ხელშეკრულობის თავის სიკედილამდე.

თუ ასეთი პირი დანიშნული არ არის, ნაწარ-  
მოებთა ხელშეკრულობის აფტორის სიკედილის  
შემდეგ იცავენ — მისი მემკვიდრეები, და აკრეთვე  
თხვანიშაციები, რომელთაც დაკასრებული აქვთ  
საავტორო უფლებების დაცვა.

იღნიშნული ორგანიზაციები იცავენ ნაწარ-  
მოებთა ხელშეკრულობის მაშინაც, როცა მემ-  
კვიდრეები არ არიან ან მათი საავტორო უფლების  
ვალი გავიდა (ამ კოდექსის 509-ე მუხლი).

მუხლი 506. ნაწარმოების გამოყენება აფტორის  
თანხმობის გარეშე და ხავტორო  
გასამრეცვლოს გადაუხდელად, თლონდ აუცილებლად  
გამოყენებული ნაწარმოების აფტორის გვარის და  
თვით ნაწარმოების მითითებით შეაძლება:

1) სხვისთ გამოქვეყნებული ნაწარმოების  
მიყენება ახალი, შემოქმედებითად დამოუკიდებე-  
ლი, ნაწარმოების შესაქმნელად გარდა მასში ჩატარდა;  
ნაწარმოების გადამუშავებისა დრომატულად და მას  
მოებად ან სცენარიად და პირიქით, აგრეთვე დრომა-  
ტული ნაწარმოების გადამუშავებისა სცენარიად და  
პირიქით;

2) შეცნოებების, ლიტერატურისა და ხელოვნე-  
ბის ცალკეულ გამოცემელ ნაწარმოებთა და  
მათი ნაწყვეტების რეპროდუქცია მეცნიერელ და  
კრიტიკულ ნაშრომებში, სასწავლო და პოლიტიკურ  
სავანმიანაობებლო გამოცემებში, იმ ფარგლებში,  
რაც დაწესებულია საქართველოს სსრ მინისტრთა  
საბჭოს დადგენილებით;

3) ინფორმაცია პერიოდულ პრესში, კინოში,  
რადიოში და ტელევიზიონი ლიტერატურის, მეცნიე-  
რებისა და ხელოვნების გამოქვეყნებულ ნაწარმოებთა ხე-  
ლოვნებში;

4) საჯაროდ წარმოთქმული სიტყვების, მოსე-  
ნებების, აგრეთვე ლიტერატურის, მეცნიერებისა  
და ხელოვნების გამოქვეყნებულ ნაწარმოებთა რე-  
პროდუქცია განხეთებში, კინოში, რადიოში და ტე-  
ლევიზიონი. რეპროდუქციად თველება აგრეთვე სა-  
ჯაროდ შესრულებულ ნაწარმოებთა რადიოში და  
ტელევიზიონი ტრანსლაცია უშეალოდ მათი შესრუ-  
ლების აღვალიდან;

5) სახეოთი ხელოვნების ნაწარმოების უოველ-  
გვარი რეპროდუქცია. რა წესითაც უნდა იყოს მე-

ქანდერ-კონტაქტური სერიით პირის გამოყენებით, თუ ეს ნაწილშოები ისეთი აღვალია, სადაც თავისუფლად შეისულება, გამოიწვია მარტინ და მეზეუმების გარედა;

6) სხვის გამოქვერებული ნაწილშოების რეანიდუქცია ან სხვა სახით გამოყენება პირის მომხმარებლის დასაკრიუოფილებლად.

მუხლი 507. ნაწილშოების გამოყენება ავტორის თანხმობის გარეშე საკუთრო გასამრჯელოს გადახდით

ავტორის თანხმობის გარეშე, ოღონდ მისი, სახელის აღნიშვნით და საავტორო გასამრჯელოს გადახდით შეიძლება:

1) გამოქვეყნებული ნაწილშოების საჯაროდ შესრულება, ოღონდ იმ შეზღუდვით თუ დასწრება უფასოა, ავტორს მიეცემა გასამრჯელო მხრიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით გათვალისწინებულ შემთვევებში;

2) საჯაროდ შესრულებისა ან გვერცელების მიზნით გამოქვეყნებული ნაწილშოებების ჩაწერა ფიჩქე, ფიჩქიტრამე, მაგნიტურ ლენტზე ან სხვა რამე ხერხით გარდა ნაწილშოების გამოყენებისა კონკრეტური, რადიოში ან ტელევიზიონში (ამ კოდექსის 506-ე მუხლის მე-4 პუნქტი);

3) გამოქვეყნებული ლიტერატურული ნაწილშოების გამოყენება კომპოზიტორის მიერ ტექსტითი მუსიკალური ნაწილშოებების შესაქმნელად:

ამ შემთხვევაშიც ტექსტის ავტორის გამამრჩევას  
თანაბრძობა უხდის, რომელიც ასეთ ნაწილობრივ  
გამოიყენებს; ერმოვრცელება

4) სახვითი ხელოვნების ნაწილში მატერიალური  
ფორმების უზრუნველყოფის გამოიყენება სამრე-  
წველო ნაკეთობებში; ამ შემთხვევებში ავტორის  
სახელის აღნიშვნა საფასლებულო არ არის.

### მუხლი 508. საავტორო უფლების მოქმედების ვალი

საავტორო უფლება ექვთვნის ავტორის მოედა  
მისი სიცოცხლის განმავლობაში.

### მუხლი 509. საავტორო უფლების მემკვიდრეობა

ავტორის სიკედლის შემდეგ საავტორო უფლე-  
ბა ნაწილში დანართის კანონმდებლობით  
და ამ კოდექსით დადგენილ ფარგლებში, მემკვიდ-  
რეობით გადადის და მოქმედებს თხუთმეტი წლის  
განმავლობაში, ავტორის გარდაცვალების წლის  
პირველი იანვრიდან დაწეულებული.

### მუხლი 510. საავტორო უფლებების გამოიყენე- ბა ავტორის მემკვიდრის მიერ

მემკვიდრის მიერ საავტორო უფლების გამოიყე-  
ნების ფარგლები, კერძოდ ის, თუ რა რაოდენო-  
ბით უნდა მიეცეს მას საავტორო გასამრჩევლო, გა-

ნისასღურება საქართველოს სსრ მინისტრის დადგენილებებით თამასის მიხედვით, ~~კოლონიუმი~~ კურიულის მიერ მისაღები გასამრჯელო არ უშენდება, მაგრა მატებოდეს იმ გასამრჯელოს 50. ჭრიული დრო უფრო თვითონ ფრთხის ერგებოდა.

### მუხლი 511. ორგანიზაციის ხავტორო უფლების მიქმედების ვალი

ორგანიზაციის ხავტორო უფლება უვადოა. ორგანიზაცია ჩეორგანიზაციის წესით მოისპო, მასი ხავტორო უფლება ვადადის უფლებამონაცვლებე, ხოლო ლიკვიდაციის დროს — სახელმწიფოზე.

### მუხლი 512. ხავტორო უფლების დაცვა

თუ ნაწარმოები გამოყენებულ იქნა ავტორობის ან მის მემკვიდრეობის ხელშეკრულების დარღვებული (ამ კოდექსის მე-500 მუხლი) ან დარღვეული იქნა ავტორის თანხმობის გარეშე ნაწარმოების გამოყენებისათვის დადგენილი პირობები (ამ კოდექსის 506-ე, 507-ე მუხლები), აგრეთვე, თუ დარღვეულ იქნა ნაწარმოების ხელშეკრულობის უფლება (ამ კოდექსის 503-ე მუხლი) ან ავტორის სხვა არაქონებრივი პირის უფლებები, მაშინ ავტორის, ხოლო მისი გარღვევალების შემდეგ მის მემკვიდრეებს და ამ კოდექსის 505-ე მუხლში აღნიშნულ სხვა პირებს შეუძლიათ მოითხოვონ დარღვეული უფლების აღდგენა (სათანადო შესწორების შეტანა,

პეტლიკაცია პრესაში ან სხვა რამ საშუალების  
მომზღვარი დარღვევის შესახებ), ან ნაწარმოვას  
მოქვეყნების ყერძალვა. ანდა მისი გაუწყვეტესა  
შეწყვეტა.

თუ ვეტოჩია მისი უფლებების დარღვევის შე-  
დეგად ზორალი განიცალა (ამ კოდექსის 212-ე პუ-  
ლი), მას უფლება აქვს ამ მუხლში აღნიშნულ მო-  
თხოვნათვან დამოუკიდებლად მოთხოვოს აგრე-  
სოვე ზორალის ანაზღაუჩება.

### მუხლი 513. ხავთორთ უფლების გამოსყიდვა ხახელმწიფოს მიერ

ვეტოტის უფლება ნაწარმოვების გამოცემისა, სა-  
ჯირო შესაჩულებისა და სხვაგვარი გამოცენებისა,  
შეიძლება იძულებით იქნეს გამოსყიდვით სახელ-  
მწიფოს მიერ ვეტორისაგან ან მისი მემკეიდრეები-  
საგან, ყოველ კალვე შემოხვევაში საქართველოს  
სსრ მინისტრთა საბჭოს ხავთხებო დადგენილებით.

იმ ნაწარმოვების გამოცენების წესია და პირო-  
ბებს, რომელზედაც საავტორო უფლება სახელმწი-  
ფოს გამოსყიდვა, დაადგენს საქართველოს სსრ მი-  
ნისტრთა საბჭო.

### მუხლი 514. ნაწარმოვების გამოცხადება ხახელ- მწიფოს კუთხითილებად

ნაწარმოვები, რომლის მიმართ საავტორო უფ-  
ლების ვადა გაუვიდა, საქართველოს სსრ მინისტრ-  
თა საბჭოს დადგენილებით შეიძლება გამოცხადე-

ბელ იქნეს სახელმწიფოს კუთხილებრივ მწიფოს კუთხილებად გამოცხადებული ნაწილები ბის გამოყენების წესია და პირობებში ჩატური უკავშირის ქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მასშტაბით 1901 წელს

იმავე წესით შეიძლება გამოცხადდეს სახელმწიფოს მონოპოლიად იმ ნაწილმომოქმედის ქართველი თარგმანის გამოცხადის უფლება, რომლებიც გამოშეეყნებულა უკხო ენაზე, როგორც საქართველოს სსრ ფარგლებში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

მუხლი 515. საავტორო ხელშეკრულება  
ავტორის უფლება აქვს თავის ნაწილმომოქმედის გამოყენების მიზნით დაღოს სათანადო ორ განიზიერებით საავტორო ხელშეკრულება.

საავტორო ხელშეკრულებით ავტორი გადასცემს თრგვანიზაციას ან კიბრელობს შექმნას და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალიზე გადასცემ მის თავისი ნაწილმომოქმედი გამოსაყენებლად ხელშეკრულებაში დათვალისწინებული წესით, ხოლო ორგანიზაცია კიბრელობს გამოიყენოს ეს ნაწილმომოქმედი ან ხელშეკრულებით დაღვენილ ვალიზი შეუღებს მის გამოყენებს. (ამ კოდექსის 522-ე მუხლი). ავტორი გადაუხადოს ავტორის გასამრჯელო კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

მუხლი 516. საავტორო ხელშეკრულებათა ხახობები

საავტორო ხელშეკრულების შემდევნილობა:

1) ხელშეკრულება ნაწილმომოქმედის გამოცხადისა ან

ხელისლა გამოკვემის შესახებ (საგამომცემდელი მუხლება);

2) ხელშეკრულება გამოუქვეყნებელი, რისტუარი მოქმედი საჯაროდ შესრულების შესახებ (წარმომადგენი ხელშეკრულება), რომელიც, იმ შემთხვევაში, თუ ერთდროული გასამზადელის გაცემის ითვალისწინებს, შეიძლება დაიდოს ავტორის მიერ ერთხადა იმავე ნაწილმოქმების, მხოლოდ ერთ თრგანიშვილისთვის;

3) ხელშეკრულება გამოუქვეყნებელი ნაწილმოქმედის გამოყენებისათვის კინოფილმში ან სატელევიზიო ფილმში (სასკრიპტო ხელშეკრულება), რადგან თუ სატელევიზიო გადაცემისი;

4) ხელშეკრულება სახეოთი ხელოვნების ნაწილმოქმედის შექმნის შესახებ მისი საჯაროდ გამოფენის ან რეპროდუქციის მიზნით (მხატვრული შეკვეთის ხელშეკრულება);

5) ხელშეკრულება დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების გამოუქვეყნებელი ნაწილმოქმედის პრეწელობაში გამოყენების შესახებ.

ავტორული სხვა ხელშეკრულებები ლიტერატურის, მეცნიერების ან ხელოვნების ნაწილმოქმებთა გამოყენებისათვის სხვა რომელიმე წესით.

მუხლი 517. საავტორო ხელშეკრულების ფორმა:

საავტორო ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით (ამ კოდექსის 44-ე მუხლი).

წერილობითი ფორმა სავალდებულობის  
როცა ნაწარმოები პერიოდულ გამოცემაში ან  
ენციკლოპედიურ ლექსიკონში უნდა გატარისტრირდეს. ი  
ს ის უკარისია ეს

### უხსლი 518. ტიპობრივი ხავტორი ხელშეკრუ- ლებანი

ხავტორი ხელშეკრულებები იღება ტიპობრი-  
ვი ხელშეკრულების შესაბამისად. ტიპობრივ სა-  
ვტორი ხელშეკრულებებს ამტკიცებს საქართვე-  
ლოს სსრ კულტურის სამინისტრო და ინტერიერებულ  
უწყებებთან და შემთხვევების კავშირებთან შე-  
თანხმებით, ამ შემთხვევების გარდა, როცა სკო  
ხელშეკრულების დამტკიცებას სსრ კავშირის კა-  
ნონმდებლობა სსრ კავშირის გამგებლობას აკუთ-  
ნებს.

ხავტორი ხელშეკრულება შეიძლება შეიცვა-  
დეს ისეთ პირობას, რომელიც ტიპობრივი ხელშე-  
კრულებით გათვალისწინებული არ არის. ავტორ-  
თან დადებულ ხელშეკრულების პირობები, რომ-  
ლებიც აუარესებს მის მდგრადარეობას კანონით ან  
ტიპობრივი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ  
მდგრადარეობასთან შედასტურით, ბათილია და შეი-  
ცვალებიან კანონით ან ტიპობრივი ხელშეკრულებით  
გათვალისწინებული პირობებით.

მუხლი 519. სააკტორო გასამჩრელოს რაოდე  
ნობა ხავტორო ხელშეყრულების  
მიხედვით



პირი 1 რუპა  
პირი 2 რუპა

სააკტორო ხელშეყრულების საფუძველზე მი-  
საცემი გასამჩრელო განისაზღვრება, მხარეთა შე-  
თანხმებით, დამტკიცებული განაცვეთების ფარვ-  
ლებში, თუ ასეთი განაცვეთები არსებობს (ამ კო-  
დექსის 493-ე მუხლი).

მუხლი 520. ნაწარმოების ჩაბარება და მოწო-  
დება

ავტორი მოვალეა შეასრულოს შეკვეთილი ნა-  
წარმოები ხელშეყრულების პირობების შესაბამი-  
სად და ჩააბაროს იგი ორგანიზაციის ხელშეყრულე-  
ბით დადგენილ ვალიზე და დათქმული წესით.

ორგანიზაცია მოვალეა არა უგვიანეს ტიპობრი-  
ვი ხელშეყრულებით დადგენილი ვალის წერილო-  
ბით შეატყობინოს ავტორს, რომ შისი ნაწარმოები  
მოწოდებულია ან დაწუნებულია ხელშეყრულე-  
ბით გათვალისწინებული საფუძველების მიხედვით,  
ანდა აცნობოს, რომ ნაწარმოები მოითხოვს აუ-  
კლებელ შესწორებას და თანაც ზუსტად მოუთო-  
თოს, თუ რაში უნდა მდგომარეობდეს ეს შესწო-  
რება ხელშეყრულების პირობების შესაბამისად. თუ  
ტიპობრივი ხელშეყრულებით დადგენილ ვალიში  
ავტორს წერილობით შეტყობინება არ ვაეგზავნა.

ნაწარმოები თუდო მოწოდებულად გადასცემის მიერ.

ეროვნული

საბჭოო კომიტეტი

მცხ 521. მესამე პირის მიერ იმ ნაწარმოების  
გამოყენების შეზღუდვა, რომელზედაც  
დაფიქტულია ხელშეკრულება

ავტორის არა აქვს უფლება მეორე მხარის წერი-  
ლობითი თანხმობის გარეშე გადასცეს მესამე პირს  
ხელშეკრულების აღნიშნული ნაწარმოები ან მისი  
ნაწილი იმავე ხერხით გამოსაყენებლად, რაც ხელ-  
შეკრულებითაა გათვალისწინებული, გარდა ტიპობ-  
რივი ხელშეკრულებით გათვალისწინებული შე-  
მოხვევებისა. ასეთი შეზღუდვის ვადა წესდება ტი-  
პობრივი ხელშეკრულებით, მაგრამ არ შეიძლება  
იღებატებოდეს სამ წელს იმ დღიდან, როცა ის-  
კვანიშვილი ნაწარმოები მოიწონა. ტიპობრივი ხელ-  
შეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს შემოხვე-  
ვის, როცა ავტორის უფლება არა აქვს გადასცეს  
თავის ნაწარმოები გამოსაყენებლად თენდაც სხვა  
ხერხით, ვიდრე, ის, რომელიც ხელშეკრულებით  
არის დათვემული.

მცხ 522. ოჩვანიშაციის მოვალეობა გამო-  
იყენოს ნაწარმოები

ოჩვანიშაცია მოვალეა გამოიყენოს ნაწარმოები  
ან შეუდგეს მის გამოყენებას ხელშეკრულებით და-

თქმული ხერხით და ხელშეკრულებით ნიღ ვადაში, რომელიც არ შეიძლება აღქმარების დროს თუ წელს ნაწარმოების მოწონების დაზიანების წესი მოვალეობა არ აყისრია სასკენარო ან სტრაფტექტის ეპულების ხელშეკრულების დამდებ რაგანიშაცია.

ნაწარმოების მოცულობის და გამოყენების ხასიათის გათვალისწინებით, ტიპობრივი ხელშეკრულებით შეიძლება ვამსაზღვრულ იქნეს ამ მეხლმი აღნიშნულზე ნაყლები ზღვრული ვადა.

მუხლი 523. საკუთრების უფლების ვადასკოდა  
შეკვეთით შექმნალ ხასიათი ხე-  
ლოვნების ნაწარმოებზე

სახვითი ხელოვნების ნაწარმოები, რომელიც შეკვეთით შეიქმნა ვადადის შემსევის საკუთრებად, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გა-  
თვალისწინებული. ფტოჩის რჩება საავტორო უფლება ამ ნაწარმოებზე.

ნაწარმოების მესაკუთრეს უფლება აქვს გამო-  
ფინოს ეს ნაწარმოები საჯარო ვამოფენაზე ფ-  
ტოჩისათვის დამატებითი ვასამრჯელოს ვადა-  
უსდელად.

მუხლი 524. სახვითი ხელოვნების ნაწარმოებ-  
ში გამოსაზრის მოქალაქის ინტე-  
რესების დაცვა

სახვითი ხელოვნების ისეთი ნაწარმოების გამო-  
მვიდნება, რეპროდუქცია და გაფრენება, რომელ-

შიც სხვა პირია გამოსახული, შეიძლება შეაღწია  
ეს პირის თანხმობით, ხოლო მისი სუკრებულის ჩემ-  
დებ — მისი შვილების და ქვრივის თანხმობით შეა-  
ტი თანხმობა საჭირო არ არის, როცა უკავშირებული  
ბა ხდება სახელმწიფოს ან საზოგადოების ინტერე-  
სებისათვის, ან თუ გამოსახული პირი პოზიტივი-  
სათვის იეტორისაგან სასყიდელს იღებდა.

მცხლი 525. შეკვეთით შესრულებული არქი-  
ტექტურული, სინეგინჩო და სხვა  
ტექნიკური გეგმების გამოყენების  
შეხინა

ორგანიზაციის შეკვეთით შესრულებული არქი-  
ტექტურული, სინეგინჩო და სხვა ტექნიკური გეგ-  
მები, ნახაზები და სურათები შემკვეთს შეუძლია  
გამოიყენოს თავისი საერთოებისათვის, გადასცეს  
შესამე პირს გამოსაყენებლად ან გამოიქვეყნოს  
პრესაში იეტორისათვის დამატებითი გასამრჯელოს  
გადაუხდებად.

მცხლი 526. ხელშეკრულება ერთი სახის ნაწარ-  
მოების სხვა სახის ნაწარმოებად გადა-  
კვთების შესახებ

ნაწარმოების გადაკვეთების ხელშეკრულებით აკ-  
ტორი უფლებას აძლევს სხვა პირს ხელშეკრულე-  
ბით გათვალისწინებული პირობების დაცვით გადა-

მოუშენს თხრობითი ნაწარმოები დარღვეულები წარმოებად ან სცენარიად და პირიქით, ან დრამატული ნაწარმოები — სცენარიად და პირიქით პრიზე დასახურისა და გადაკეთების ხელშეყრება, მოვალეა გადაუხადოს შეს ვასამრჯელი, გარდა კანონით მითითებული შემთხვევების, აგრეთვე გადაკეთების შედეგად მიღებული ნაწარმოების შორისნებისთანავე გამოითხოვოს ფერორის თანხმობა ამ ნაწარმოების გამოქვეყნებისათვის. ვასამრჯელის რაოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეზანდებით დამტკიცებული განვავეთების ფაჩვლებში, თუ ასეთი განვავეთები აჩსებობს (ამ კოდექსის 493-ე მუხლი).

ფერორის შეიძლება დაეყიდოს, რომ მან ხელშეყრებით დადგუნიდა ვადის განმავლობაში, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს სამ წელს ხელშეყრების დადების დღიდან, არ მისცეს, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მუსამე პირს უფლება გადააკეთოს ეს ნაწარმოები ისეთივე სახის ნაწარმოებად, როგორიც ხელშეყრებითია გათვალისწინებული.

მუხლი 527. ფერორის პასუხისმგებლობა ხელშეყრების დარღვევისათვის

ფერორი მოვალეა დააბრუნოს ხელშეყრებით მიღებული სახელმწიფო ვასამრჯელი, თუ როგორიზაციაშ მოშალა ხელშეყრება, რომელიმე შემდევ

გა მიწერით: თუ კვტორიში თავისი ბრძანება არ არ-  
აბარი მას ნაწილმოები ხელშეკრულებით ვათვალის-  
წინებულ ვადაში; თუ შეკვეთა არა შეკრულებული; ॥  
ხელშეკრულებით ვათვალისწინებული; ჭრილებული  
შესაბამისად, ან შესრულებულია აზევეთილისინდი-  
სიერად; თუ კვტორიში უარი იქნეა ისეთ შესწორება-  
ზე, რაც მას ხელშეკრულებით დადგენილი წესით და  
ფარგლებში მოეთხოვა; თუ დაარღვეა მოვალეობა  
პირადად შეესრულებინა სამეშვილ; თუ დაარღვეოს ამ  
კოდექსის 521-ე მუხლით ვათვალისწინებული  
წესები.

თუ ორგანიზაციამ დაიწერნა ნაწილმოები ხელ-  
შეკრულებით ვათვალისწინებული სატურდების  
მიხედვით, მაგრამ ვერ დაამტკიცა სასამართლო წე-  
სით კვტორის აზევეთილისინდისიერება შეკვეთილი  
სამუშაოს შესრულებისას, მაშინ კვტორს რჩება  
ხელშეკრულების თანახმად მიღებული მოელი ვა-  
სამრჯელი ან მისი ნაწილი განსაზღვრული ტაპობ-  
რივი ხელშეკრულებით. ეს ნაწილი არ შეიძლება  
ხელშეკრულების თანხის 25 პრიცენტზე ნაკლები  
იყოს.

მუხლი 528. ორგანიზაციის პასუხისმგებლობა  
ხელშეკრულების დარღვევისათვის

თუ ორგანიზაცია არ ვამოიყენებს მიწონებულ  
ნაწილმოებს ან არ შეუღება მის ვამოიყენებს ხელ-  
შეკრულებით დადგენილ ვაღაში, იგი მოვალეა კვ-  
ტორის მოთხოვნით ვაღაუხადოს მას მოელი და-

თქმული გასამრჯელო; ამ შემთხვევაში რადგან  
უფლება აქვს აგრძელები უარი თქვას ხელშეკრულება-  
ბაზე და მოითხოვოს ხელშეკრულების შემსრულებელი  
ორგანიზაციისათვის ნაწილშემოწმის ჩაბარებული წესის  
ლების დაბრუნება. ორგანიზაციის გათავისუფლდება  
მოვალეობისაგან გადატხადოს ფრთხის გასამრჯე-  
ლოს ის ნიჭილი. რომელიც უნდა მიეღო უკანას-  
ქნელს ნაწილშემოწმის გამოყენების დაწყების შემ-  
დეგ, თუ დაამტკაცებს, რომ ის შეეძლო გამოეყე-  
ნებინა ნაწილშემოწმის თვით ფრთხისაგან დამოკიდე-  
ბული გარემოების გამო.



ეროვნული  
ბიблиოთეკა

მ ა რ ტ ი

## აღმოსახის სამარტალი

მუხლი 529. აღმოსახის ავტორის (აღმომჩენის)  
უფლებები

აღმოსახის ავტორის (აღმომჩენის) უფლება აქვს  
მოითხოვოს აღმოარება აღმოსახის დროირობისა და  
აღმოსახის მიზანის მრიობისტერისა, რაც დასტური-  
დება დიპლომით, რომელიც გაიცემა იმ შემთხვე-  
ვებში და იმ წესით, რაც გათვალისწინებულია საჩ  
კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებულია  
„დებულებით აღმოსახენების, გამოვლებებისა და  
რაციონალიზატორიული წინადალებების შესახებ“.

აღმომჩენის აქვს ჯილდოს უფლება, რომელიც  
მის უძლევა დიპლომის მიღების დროს, აგრეთვე შე-  
დავთების უფლება, რომელიც გათვალისწინებუ-  
ლია „დებულებით აღმოსახენების, გამოვლებებისა  
და რაციონალიზატორიული წინადალებების შესა-  
ხებ“.

შეხლი 530. აღმოჩენის უფლებათა გადასცვა  
მემკვიდრეობით

ერმოვრუბი

გარდაცვლილი აღმოჩენის დაპლომურისტურის  
უფლება, ავტორუ აღმოჩენისათვის ჯილდოს მიღე-  
ბის უფლება გადაღის მემკვიდრეობით კანონით  
დადგენილი წესით.

შეხლი 531. დავა აღმოჩენის ავტორობის შესახებ

დავის აღმოჩენის ავტორობის (თანავეტორობის)  
შესახებ გადაწყვეტის სასამართლო.

## ბათონიშვილის სამართლადი

მუხლი 532. ხავტორით მოწმობა და პატენტი

გამოვლინების ფერობის თავისი არჩევანის მიზნებით შეცდით მოთხოვთ ან მხოლოდ თავისი ფერობის ღიაბრება, ან ფერობის ღიაბრება და განსაკუთრებული უფლების მინიჭება გამოვლინებაზე. პირების შემთხვევაში მას მიეცემა საფერორი მოწმობა, მეორე შემთხვევაში — პატენტი.

საფერორი მოწმობისა და პატენტის გაცემა წარმოებს იმ პირობებით და იმ წესით, რომლებიც გათვალისწინებულია „დემოლებით აღმოჩენების, გამოვლინებებისა და რაციონალიზატორების წინდადაცებების შესახებ“.

იმ გამოვლინების დამატებითება, რომელიც მოხდა სარ კაცირის ფარგლებში ან საბჭოთა მოქალაქეობისაში არგარეთ მოხდინა, აგრეთვე საბჭოთა გამოვლინებების ყოველგვარი გადაცემა სანდევარგარეთ შეიძლება მხოლოდ სარ კაცირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

პუხლი 533. გამოყენება გამოვონებისა, რომელი  
დაც გაცემულია საკუთრო მიწისას

იმ შემთხვევაში, როდესაც გამოვონების დაცვის დრო  
ცემულია საკუთრო მიწისას, გამოვონების გა-  
მოყენების უფლება კუთხის სახით მიწისას. რო-  
მეც კისრელობს იზრუნოს გამოვონების გან-  
ხორციელებისათვის მისი ფასერებების მიზნების  
კონკრეტულისწინებით.

კომერციულ და საზოგადოებრივ ინტენსი-  
ვიუბს აქვთ სახელმწიფო ორგანიზაციებთან თანა-  
ბარი უფლება გამოიყენონ გამოვონებები, რომლე-  
ბიც მათ საქმიანობის წესს შეეხება.

გამომვონებელს, რომელსაც საკუთრო მოწმო-  
ბა მიუკა, თუ მისი გამოვონება მიღებულ იქნა და-  
სინერგებლ, აქვს გასამრჯელოს უფლება გამოვონე-  
ბის დანერგვის შედეგად მიღებული უკონომისის ან  
სხვა დადგებითი ეფექტის მიხედვით, ავტორუ —  
შელავათების უფლება შესაბამისად „დებულებისა,  
აღმოჩენებისა, გამოვონებებისა და რაციონალიზა-  
ტორული წინადალებების შესახებ“.

პუხლი 534. პატენტის მქონებლის უფლებები

პატენტის მომენტი თხუთმეტი წლის გადა  
განაცემადის შეტანის დღიდან, იმავე დღიდან დაცუ-  
ლია განცემადებლის უფლებები. არაერთ აზ შეტა-  
ნია გამოიყენოს გამოვონება იმ პირის თანხმობის

გარეშე, ვისაც პატენტი იყოთვნის (პატენტის  
ნებელი). პატენტის მქონებელს შეუძლია დასკუს  
თვეისა გამოვონების გამოყენების ნებართვის ჭრას  
(ენიბა) ან მთლიანად დაუთმოს პატენტის სხვ პირების

ორგანიზაციის, რომელმაც გამომგონებლის მიერ  
განაცხადის შეტანამდე და მისგან დამოუკიდებლად  
გამოიყენა გამოვონება სსრ კავშირის ფარგლებში  
ინდა მისათვეის აუცილებელი მოელი სამშალისი  
გასწია, რჩება უფლება კულტურული უსასყიდლოდ გა-  
მოიყენოს ეს გამოვონება. დავა ამ საეკონომიკურო გადა-  
წყდება სასამართლო წესით.

იმ შემთხვევებში, როდესაც გამოვონებას გან-  
საკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწირ-  
ფოსათვის, ხოლო ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება  
პატენტის მქონებელთან პატენტის დამომობის ან  
ლაციენციის მიერების თაობაზე, სსრ კავშირის მი-  
ნისტროთ საბჭოს გადაწყვეტილებით პატენტი შეი-  
ძლება იძულებით იქნეს გამოსყიდული სახელმწირ-  
ფოს მიერ ან შესაბამის ორგანიზაციის შეიძლება  
მიეცის გამოვონების გამოყენების ნებართვა და თან  
განისაზღვროს პატენტის მქონებლის გასამრჯელო-

მუხლი 535. რაციონალიზატორული წინადადების  
ავტორის უფლებები

ლაბანერგავალ მიუღიდვა რაციონალიზატო-  
რობი წინადადების ავტორის უფლება შილ აეტო-  
რობის დამსატურებელი მოწმობა. შილ აქვს გა-  
სამრჯელოზე უფლება წინადადების დანერგვის შე-

დეგად მიღებული კონტინტის ან სხვა დაწყების  
ეფუძნების შინელვით, აგრეთვე შეღავათების უადა-  
ბა შესაბამისად „დებულებისა, ომოჩენებისა“ და ას-  
მოვთქნებებისა და რაციონალიზატორული წარმატებების  
დებების შესახებ“.

შესხვა 536. გამომგონებლისა და რაციონალიზა-  
ტორის შონაწილეობა წინადადების  
დაწყებების

გამომგონებლები და რაციონალიზატორები აქ-  
ტურად უნდა უწყობდნენ ხელს მათი წინადადებე-  
ბის დაწერებებისა და შემდგომ განვითარების; მათ  
უფლება აქვთ შონაწილეობა მიღლონ ამ წინადადე-  
ბათა დაწერებების სამუშაოების განხორციელებაში  
ის წესით, რაც გათვალისწინებული „დებულე-  
ბით აღმოჩენების, გამოვთქნებებისა და რაციონა-  
ლიზატორული წინადადებების შესახებ“.

შესხვა 537. გამოგონებისა და რაციონალიზატო-  
რული წინადადებების ავტორის უ-  
ადებების გადასცვლა მემკვიდრეობით

გამოვთქნების სავტორო მოწოდების, ან პატენ-  
ტის, რაციონალიზატორული წინადადებების შონი-  
ბისა და გამოვთქნებისათვის რაციონალიზატორული  
წინადადებისათვის გასამრჩელოს შილებისა აგრე-  
თვე პატენტის ღამყაჩებული განსაკუთრებული  
უფლება გამოვთქნებაზე, გადადის მემკვიდრეობით  
კინონით დადგენილი წესით.

მეხლი 538. დავა კოტორბაზე და გამოწვევების  
გაცემაზე ერთიანული

დავა გამოვთნების დეტალობაზე ციფრულური ტექნიკის  
ბაზე) გადაწყვდება სისამართლოს მიერ, სისამართლო  
გადაწყვეტს ავტოთვე დავას პირველობის „შესახებ  
რაციონალიზატორული წინაღადების წარდგენაში,  
თუ ეს დავა ურ გადაწყვიტა იმ იმუნიტეციაში, სა-  
დაც წინაღადება ინერგება.

დავა გამოვთნებისა თუ რაციონალიზატორული  
წინაღადებისათვის მისღები გასამრჩევლოს რო-  
დენობის, გამოანგარიშების წესის და გაცემის ვა-  
დების საკითხებზე წყდება იმ წესით, რომელიც  
გათვალისწინებულია „დებულებით იღმოჩენების;  
გამოვთნებებისა და რაციონალიზატორული წინა-  
ღადებების შესახებ“; გამომგონებელს ან რაციონა-  
ლიზატორს, რომელიც ისეთ გადაწყვეტილების  
უმიზოსებულოდ მიიჩნევს, შეუძლია მიმართოს  
სისამართლოს.



ეროვნული  
ბიბლიოთეკი

გ რ მ 0 VIII

## მამაკაცის ინარჩუნები სამართალი

მუხლი 539. მემკვიდრეობის საფუძვლები

მემკვიდრეობის გაღმაცელა სდება კანონით ან ანდერძით.

მემკვიდრეობის კანონისმიერი წესი მოქმედებს ყოველთვის, თუ ანდერძით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

თუ კანონისმიერი ან ანდერძისმიერი მემკვიდრეები არ არიან, ან არც ერთშა მემკვიდრემ მემკვიდრეობა არ მოილო, ანდა მეანდრერებ ჩიმოაჩინება მემკვიდრეობა ყველა მემკვიდრეს, გარდაცელილის ქონება მემკვიდრეობის უფლებით სახელმწიფოს დაცუნის.

მუხლი 540. სამკვიდროს განსხინის დრო

სამკვიდროს განსხინის დროზე ითვლება სამკვიდროს გამტკიცებლის გარეაცემების დღე, ხოლო გარდაცელილ გამოცხადების შემთხვევაში — ამ კოდექსის მე-20 მუხლში მითითებული დღე.

მუხლი 541. სამკვიდროს განსხის აღვალი

სამკვიდროს განსხის აღვალად ითვალისწიფებული კედროს დამტოვებლის უყანასენელი მიზანი მარტივი არა ცხოვრებელი აღვალი (ამ კოდექსის მე-16 მუხლი), ხოლო თუ იყო ცნობილი არ აჩინს, — სამკვიდრო ქონების ან შისა ძირითადი ნაწილის აღვალია- მყოფელი.

მუხლი 542. მოქალაქეები, რომლებიც შეიძლება შემკვიდრეობად იყვნენ

შემკვიდრეობად შეიძლება იყვნენ:

კანონისმიერი შემკვიდრეობის დროს — მოქა-  
ლაქენი, რომლებიც ცოცხალი იყვნენ სამკვიდროს  
დამტოვებლის სიკედილის მომენტისათვის და ავ-  
ტოვე სამკვიდროს დამტოვებლის შეილები, რომ-  
ლებიც შისა გარღაცვალების შემდეგ დამაღებიან.

ანდერძით შემკვიდრეობისას — მოქალაქენი,  
რომლებიც ცოცხალი იყვნენ სამკვიდროს დამტო-  
ვებლის სიკედილის მომენტისათვის და აგრძოვე  
ისინი ვინც ჩასახული იყვნენ შის სიცოცხლეში და  
დამაღენენ შისა გარღაცვალების შემდეგ.

მუხლი 543. მოქალაქეები, რომლებიც შემკვიდრი-  
ობის უფლება არა აქვთ

არა აქვთ შემკვიდრეობის უფლება ანც კანო-  
ნით და არც ანდერძით მოქალაქეებს, რომლებმაც

თავისანთი კანონისაწინააღმდეგო მოქმედებით  
შეკვეთის დამტკიცებლის, თუ რომელიც მისი შემ-  
კვიდრის მიმართ, ანდა სამკვიდროს დამტკიცებული  
აზლერზე გამოიწმეული უკანასკნელი ცურაჭულის მიმართ  
ლის გამომოწყებულების საწინაღმდეგოდ ხელი შეუ-  
წევს თავის მოწოდებას მემკვიდრეობად, თუკი ეს  
გარემოებები დადასტურებულია სასამართლო წე-  
სით.

✓ ეს იქნებიან კანონისმიერ მემკვიდრეობად შეი-  
ლებისა მშობლები, რომელებსაც ჩამოურთვათ მშობ-  
ლის უფლებები და სამკვიდროს გახსნის მომენ-  
ტისთვის არ იქნენ აღდგენილნი ამ უფლებებში,  
აგრეთვე მშობლები და სიუდენტოვანი შეიღები,  
რომელებიც ავსრობელად თავს არიდებდნენ შათა  
კანონით დაკისჩებულ მოვალეობის ერჩივათ სა-  
მკვიდროს დამტკიცებული, თუ ეს გარემოება დადა-  
სტურებულია სამართლო წესით.

ვა შესლის პირები ნაწილის წესები კრიულ-  
ება აგრეთვე საანდერო დანაკისრის მიღების  
უფლებაზე (ამ კოდექსის 549-ე მუხლი).

#### მუხლი 544. კანონისმიერი შემკვიდრეობი

კანონისმიერი მემკვიდრეობის დროს თანასწო-  
რი წილის უფლებით შემკვიდრეობად ითვლებიან:  
პირები რიგში—გარდაცვლილის შვილები (მათ  
შორის შეიღიბილები), შეუღლე და მშობლები  
(შეიღებლები). პირები რიგის მემკვიდრეა აგრეთ-

ეს გარდაცვლის შეიღი, რომელიც მრწვერობის  
ლის შემდეგ დაიხადა.

სამკუიდროს დამტოვებლის შეიღი მემკვიდრეობის  
შეიღი შეიღის შეიღი ითვლებიან კიბოსისმიერ  
მემკვიდრეობად. თუ სამკუიდროს გახსნის დროისა-  
თვის ცოცხალი აღარ არის მათი შემობეჭი, რომე-  
ლიც სამკუიდროს დამტოვებლის მემკვიდრე უნდა  
ყოფილიყო, ისინი თანასწორად იღებენ იმ წილს.  
რომელიც კანონისმიერი მემკვიდრეობის დროს მათ  
გარდაცვლილ შშობელს ერგებოდა.

მეორე რიგის მემკვიდრეობად არიან გარდაცვ-  
ლილის და-ძმები, მისი ბებია და პაპა, როგორც დე-  
დის, ისე მამის მხრიდან. მეორე რიგის მემკვიდრე-  
ების მოწოდება მემკვიდრეობად ხდება მხოლოდ  
მაშინ, თუ პირველი რიგის მემკვიდრეები არ არიან.  
ან მათ უარი თქვენ მემკვიდრეობაზე, აურეოვე. იმ  
შემთხვევაში, როცა პირველი რიგის ყველა მემკვიდ-  
რეს მემკვიდრეობა ანდერძით ჩამოკროვა (მუხლები  
543-ე და 546-ე).

სამკუიდროს დამტოვებლის ძმისწერები და  
დისწერები ითვლებიან კანონისმიერ მემკვიდრე-  
ებად, თუ სამკუიდროს გახსნის დროისათვის ცო-  
ცხალი აღარ იყო მათი შემობეჭი, რომელიც სამ-  
კუიდროს დამტოვებლის მემკვიდრე იქნებოდა; ისი-  
ნი თანასწორად იღებენ მემკვიდრეობის იმ წილს.

რომელიც | კანონისმიერი მემკვიდრეობის | და  
მათ გარდაცვალ მშობელს ერგებოდა. ფრთხიული  
მიერთ მემკვიდრეობის წრეს ეკუთხნიან ატარებულის  
უნარითი პირები, რომლებიც სამკვიდროს დატო-  
ვებლის რჩენაზე იყვნენ არანეკლებ ერთი წლისა მის  
სიკვდილისდე. ოუმათ ვიტო სხვა მემკვიდრეობის  
არიან, ისინი იღებენ მემკვიდრეობას იმ რიგის მემ-  
კვიდრეობის თანამწორიად, რომლებიც მოწოდებუ-  
ლი არიან მემკვიდრეობად.

შეიღობილი და მისი შთამომავლები როგორც  
შშეიღებლის ან მისი ნათესავების მემკვიდრეობი  
გათანაბრებული არიან შეიღებელის შეიღებთან და  
შთა შთამომავლებთან. შეიღობილს აღარ ეკუთხნის  
კანონისმიერი მემკვიდრეობა თავიანთი მშობლების  
და აღმავალი ხაზის სხვა ღვიძლი ნათესავების,  
აგრეთვე და-მშების გარდაცვალების შემდეგ.

შეიღებელი და მისი ნათესავები როგორც შეი-  
ღობილის და მისი შთამომავლების მემკვიდრეობა  
გათანაბრებული არიან შეიღობილის მშობლებსა  
და სხვა ღვიძლ ნათესავებთან. შეიღობილის მშობ-  
ლებს აღმავალი ხაზის მის სხვა ღვიძლ ნათესავებ-  
სა და და-მშებს აღარ ეკუთხნით კანონისმიერი მემ-  
კვიდრეობა შეიღობილის ან მისი შთამომავლების  
გარდაცვალების შემდეგ.

მუხლი 545. საოჯახო მოწყობილობისა და  
ფაცხოვნებთ საგნების მემკვიდრეობა

ჩვეულებრივი საოჯახო მოწყობილობის მემკვიდრეობა უოფაცხოვნებთ საგნები ეკვივნის სპეციალისტის დამტოვებელთან ერთად მცხოვრებ ქანონისმიერ მემკვიდრეობას მათი მემკვიდრეობის რეგისტრაციის და სამემკვიდრეო წილის მიუხედავად, თუ ისინი ცხოვრისძინებ სპეციალისტის დამტოვებელთან არა ნაერებ ერთი წლისა მის სიკედილაშველ და თანაც საერთო მეურნეობა ჰქონდათ მასთან ან მის რჩენაზე იმყოფებოდნენ.

მუხლი 546. მემკვიდრეობა ანდერძით

უოველ მოქალაქეს შეუძლია მოუღა თავისი ქონება ან მისი ნაწილი (ჩვეულებრივი საოჯახო მოწყობილობისა და საყოფაცხოვნებო საგნების ჩათვლით) დაუტოვოს ანდერძით ერთს ან რამდენიმე პირს, როგორც ქანონისმიერ მემკვიდრეობის წრიდან, ისე გარეშესაც, იგრეთვე სახელმწიფოს ან ცალკეულ სახელმწიფოს, კოოპერაციულ თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციის.

მოანდერძეს შეუძლია მემკვიდრეობა ანდერძით ნამოართვას ერთს, რამდენიმე ან უვეღა ქანონისმიერ მემკვიდრეს.

თუ მოანდერძებ არ აღნიშნა ანდერძით თოთოული მემკვიდრის წილი, ქონება ნაწილდება მათ შორის თანასწორიად.

ქონების ნაწილი, რომელსაც ანდერძიძი ასე შეკვეთის გადასახმარებელი და 545-ის მემკვიდრეობის შემთხვეულებად მოწოდებული უნდა იყოს. ნონისმიერ მემკვიდრეობს შორის.

ამ მემკვიდრეთა ხილხვს ეკუთვნიან ის კანონის-მიერი მემკვიდრეობის რომელსაც ეანდობათ ქონების დანარჩენი ნაწილი, თუ ანდერძიძის სხვა რამ არის გათვალისწინებული.

### მუხლი 547. უფლება სავალდებულო წილზე ხე- მკვიდრო ქონებაში

სამკვიდროს დამტოვებლის არასრულწლოვან ან არაშრომისუნარიან შეიღებს (მათ შორის შეიღო-  
ბილებს), აგრეთვე გარდაცვლილის არაშრომის-  
უნარიან შეეღლეს, მშობლებს (მშეაცებლებს) და  
მის რჩენაშე შეოთვ სხვა მემკვიდრეობს, რა შინაობ-  
სისაც უნდა იყოს ანდერძი, ეკრანით სამკვიდრო  
წილი, რომელიც არ შეიძლება იყოს იმ წილის თუ  
მესამედზე ნაკლები, რაც თოთოვეულ მათვაში კა-  
ნონისმიერ მემკვიდრეობის დროს ერგებოდათ (სა-  
ვალდებულო წილი). სავალდებულო წილის გან-  
სახლების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მი-  
ღებული აგრეთვე იმ სამკვიდრო ქონების ღირებუ-  
ლება რაც ჩვეულებრივი საოჯახო მოწყობილობი-  
სა და საყოფაცხოვრებო საგნებისავან შეღვენა.

## მუხლი 548. შემკვიდრის შემკვიდრის ფანიშვილი

მოანდერძეს უფლება აქვს დაასახელორზე მეტყველები  
ში სხვა შემკვიდრე იმ შემთხვევისათვის რაც არ გამოისახ-  
მიერ დანიშნული მეტყვიდრე სამკვიდროს ვახსნაშ-  
დე მოყვდება ან სამკვიდროს აზ მიიღებს.

## მუხლი 549. საანდერძო დანაყისრი

მოანდერძეს უფლება აქვს დააყისროს ანდერ-  
ძისმიერ მეტყვიდრეს რამე ვალდებულების შესრუ-  
ლება (საანდერძო დანაყისრი) ერთ ან რამდენიმე  
პირის (საანდერძო დანაყისრის მიმღებთა) სახარ-  
ებლოდ, ხოლო საანდერძო დანაყისრის მიმღებნი  
იძენენ უფლებას მოითხოვონ ამ ვალდებულების  
შესრულება. საანდერძო დანაყისრის მიმღებად შეა-  
ძლება იყვნენ როგორც კანონისმიერ შემკვიდრეთა  
წრეში შემავალი პირები, ისე გარეშენიც.

მოანდერძეს შეუძლია დააყისროს მეტყვიდრეს,  
რომელსაც საყხორებელი სახლი უანდერძა, ვალ-  
დებულება ვალაც ცეს სხვა პირს მედმივ სახ-  
ებლობაში ეს სახლი ან მისი ნაწილი. თუ ამ სახ-  
ლის ან მისი ნაწილის საყუთხების უფლება შემდ-  
გომ სხვაზე გადავიდა, სამუდაშო საჩვებლობის  
უფლება ძალაში ჩეხდა.

შემკვიდრე, რომელსაც მოანდერძემ ამ საანდერ-  
ძო დანაყისრის შესრულება დაავალა, ვალდებუ-  
ლია შესრულოს ივი მხოლოდ მისთვის ნაანდერ-  
ძევი სამკვიდრო ქონების ნამდვიალი ლინებულების

ფარიგლებში, სამკვიდროს დამტოვებლის ვალით  
ნაწილის ვამოქცებით, რომელის ვასტუმრებას, მას  
შეხედა.

თუ ანდერძისმიერ მემკვიდრეს, რომელსაც სა-  
ანდერძო დანაკისრის შესრულება დაევალა, სივალ-  
დებული წილის უფლება იქნა სამკვიდრო ქონება-  
ში, მაშინ იგი ასრულებს საანდერძო დანაკისრის  
მისთვის ნაანდერძევი სამკვიდრო ქონების ღირებუ-  
ლების მხოლოდ იმ ნაწილის ფარიგლებში, რითაც  
იგი სავალდებული წილის ღირებულების აღემა-  
ტება.

თუ მემკვიდრე, რომელსაც საანდერძო დანაკი-  
სრის შესრულება უვალება, სამკვიდროს განსამღე-  
ბრება ან მან მემკვიდრეობაზე უარი განაცხადა,  
შაშინ ამ საანდერძო დანაკისრის შესრულების ვალ-  
დებულება გადადის სხვა მემკვიდრეებზე, რომ-  
ლებმაც მისი წილი მიიღეს.

მეტელი 550. რაიმე მოქმედების დაკისრება მე-  
მკვიდრისთვის ხერთო ხახამჭებლო  
შინინოთ

მოანდერძეს შეუძლია დაკისროს მემკვიდრეს  
რაიმე მოქმედება საერთო-სასაჩვებლო მიზნით; თუ  
ის მოქმედება ქონების ეხება, ვამოყენება შესაძა-  
მისად იმ კოდექსის 549-ე მეტელის წესები.

## მუხლი 551. ანდერძის სანოტარო ფონდი

ანდერძის უნდა შეღვეს წერილობის, მის  
შეღვენის აღვილისა და დროის აღმისამართის  
პირადად მოანდერძის მიერ წარედგინოს — დამატებით  
შებლად სანოტარო ორგანოს, ხოლო იქ სადაც სა-  
ნოტარო ორგანო არ არის — მშრომელთა დეპუტა-  
ტების სასოფლო, საღამო ან საქალაქო საბჭოს  
აღმისყომის.

✓ მოანდერძემ ხელი უნდა მოაწეროს ანდერძის  
აუკილებლად ნოტარიუსის ან შერომელთა დეპუ-  
ტატების აღვილობრივი საბჭოს აღმისყომის თვ-  
მჯდომარის თანდასწრებით.

✓ თუ მოანდერძემ ფიზიკური ნაკლის, ავადმყო-  
ფობის ან სხვა მიზეზის გამო თეოთონ ვერ მოაწერს  
ხელს, შეიძლება მისი თხოვნით ანდერძის ხელი მო-  
წეროს სხვა მოქალაქემ ნოტარიუსის, ხოლო იქ, სა-  
დაც სანოტარო ორგანოები არ არის, მშრომელთა  
დეპუტატების აღვილობრივი საბჭოს აღმისრულე-  
ბელი კომიტეტის თვემჯდომარის, ავრეთვე სხვა  
თანამდებობის პირის (ამ კლექსის 552-ე მუხლი)  
თანდასწრებით, ამისთან უნდა აღნიშნოს მიზეზი.  
რის გამოც მოანდერძემ თეოთონ ვერ შეძლო ან-  
დერძეს ხელის მოწერა.

## მუხლი 552. სანოტარო ანდერძთან გათანაბრებუ- ლი ანდერძები

სანოტარო ანდერძთან გათანაბრებულია:

1) სსრ კადშირის შეიარაღებული ძალების შე-

მადგენლობაში მყოფი მოქალაქეების ანდერტარქი  
დამოწმებული სათანადო სამხედრო ნაწილის სამარ-  
ცობის მიერ; ერმიტული

2) სსრ კავშირის ოღმით მოცურავე ჰიმიჩურქის არა  
და სამდინარეო ხომალდზე მყოფ მოქალაქეების ან-  
დერტი დამოწმებული ნოსნობის დროს იმ გეშების  
კაპტანის (უფროსის) მიერ;

3) სავალმყოფოში, სანატორიუმება და სხვა სტა-  
ციონარეულ სამკურნალო დაწესებულებაში სამკურ-  
ნალოდ მყოფი, ავტოთვე ინვალიდთა სახლში მყო-  
ფი მოქალაქეების ანდერტი, დამოწმებული მოვარი,  
უფროსი. ან მოჩივე ექიმის მიერ;

4) საძიებო, აზტრიულ და სხვ. მისთ. ექსპედი-  
ციაში მყოფი მოქალაქეების ანდერტი, დამოწმებული  
ექსპედიციის უფროსის მიერ;

5) პატიმრის ანდერტი, დამოწმებული სამატი-  
რო ადგილის ადმინისტრაციის მიერ.

### მუხლი 553. ანდერტის მოშლა და შეცვლა

მოანდერტეს უფლება აქვს ყოველთვის შეცვა-  
ლის ან მოშალის თავისი ანდერტი და შეაღვინოს  
სხვა ანდერტი.

შემდგომი ანდერტი აუქმიებს აღრინდელს შოთა-  
ანად ან მის იმ ნაწილს, რომელიც ახალ ანდერტის  
ერინადმდება.

ანდერტი შეიძლება მოიშალოს ან შეიცვალოს  
ავტოთვე კანკხადების შეტანით სანოტარო კანტო-  
რაში ან მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი

საბჭოს აღმისრულებელ კომიტეტი, საბჭოს  
ანდერძის დამოწმეს.

1 ქვეს.

ვიზუალური

მუხლი 554. ანდერძის აღსრულება

ანდერძის აღსრულება, ეფალებათ ანდერძის და-  
ნიშნულ მემკვიდრეებს.

მოანდერძეს შეცემის დასახულის ანდერძის  
სხვა პირი, რომელიც მემკვიდრე ან არის და, რო-  
მელსაც იგი ანდერძის აღსრულებას ავალებს (ან-  
დერძის აღმისრულებელი).

ასეთ შემთხვევებში საჭირო აღმისრულებლის თა-  
ნხმობა, რაც მან უნდა გამოხატოს წარწერით თვით  
ანდერძე ან ანდერძე დართულ განცხადებაში.

მუხლი 555. ანდერძის აღმისრულებლის უფლება-  
მოხვდება

ანდერძის აღმისრულებელი უფლებამოსილია  
შემსრულოს ყველა მოქმედება, რაც უცილებე-  
ლია ანდერძის აღსრულებისათვის.

ანდერძის აღმისრულებელს უფლება აქვს იმ  
უცილებელი ხარჯების ანაზღაურებისა, რაც მან  
კონების დაცვისა და მართვისათვის გასწიო.

ანდერძის აღსრულების შემდეგ ანდერძის  
აღმისრულებელი მოვალეა მემკვიდრეების მოთხოვ-  
ნით წარუდგინოს მათ ანგარიში.

## მუხლი 556. სამკვიდროს მიღება

იმისათვის, რომ სამკვიდრო მემკვიდრეობა განვიტანოს... ი  
მან უნდა მიიღოს იგი. ან შეიძლება უყვარებელი იქნა-  
მიღება რამე პირობების წამოუენებით.

სამკვიდრო მიღებულად თველება, თუ მემკვი-  
დრე ფაქტიურად შეუდგება სამკვიდრო ქონების  
ფლობის ან მართვის, ვეზეთვე, როდესაც იგი შეი-  
ტანს საწოტარო მოქმედებათა შემსრულებელ რა-  
განოში სამკვიდროს გახსნის აღვილას განცხადებას  
სამკვიდროს მიღების შესახებ.

ამ მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნული მოქმე-  
დებები შესრულებულ უნდა იქნეს ეძვის თვის  
განმავრეთაში სამკვიდროს გახსნის დღიდან.

ამ პირებს, ვის მემკვიდრეობის უფლებაც მხო-  
ლოდ იმ შემთხვევაში წარმოიშობა, თუ სხვა მემ-  
კვიდრეებმა სამკვიდრო ან მიიღეს, შეუძლიათ სა-  
მკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის დაჩჩენი-  
ლი ხნის განმავრეთაში განაცხადონ, რომ თანახმა-  
რიან მიიღონ სამკვიდრო; როცა აღნიშნული დრო  
სამ თვეზე ნაკლებია, იგი ვაგრძელებულ იქნება სამ  
თვემდე.

მიღებული სამკვიდრო ითვლება მემკვიდროს სა-  
კუთხებად მემკვიდრეობის გახსნის დღიდან.

## მუხლი 557. სამკვიდროს მიღების ვადის ვაგრძე- ლება

ამ კოდექსის 556-ე მუხლით სამკვიდროს ვა-  
საღებად დადგენილი ვალა შეიძლება ვაგრძელდეს

სასამართლოს შეირ, თუკი იგი ვადის გადაცემის  
ბის მიზეზებს საპატიოდ მიიჩნევს. სამკურთხო  
შეიძლება მიღებულ იქნეს აღნიშნული მუსლიმი ი  
გასცლის შემდევ სასამართლოსათვის მიუწვდის მას კურ-  
დაც, თუ ამის თანახმად იქნება სამკურთხოს მიღე-  
ბი უკელა დანარჩენი მემკვიდრე.

ასეთ შემთხვევეამი სამკურთხოს მიღების ვადის  
გამოცდენ მემკვიდრეს მის ხელი ქონებიდან, რომე-  
ლიც სხვა მემკვიდრეებმა მიიღეს ან სახელმწიფო  
საკუთრებად ვადავიდა ნატერიალ მიეცემა ის, რაც  
შეჩრჩენილია, მას შიეცემა აგრძეთვე მისი ხელი  
ქონების დანარჩენი ნაწილის ჩეალიზაციით მი-  
ღებული თანხა.

### მუხლი 558. სამკურთხოს მიღების უფლებების გა- დახველა სხვა მემკვიდრეზე

— თუ კანონისმიერ ან ანდერძისმიერ მემკვიდრედ  
მოწოდებული პირი ვარდაიცვალა სამკურთხოს გახ-  
სნის შემდეგ და ვერ მოისწრო სამკურთხოს მიღება  
დადგენილ ვადაში (ამ კოდექსის . 556-ე მუხლი),  
სამკურთხოს იმ წილის მიღების უფლება, რაც ვარ-  
დაცვილს ერგებოდა, მის მემკვიდრეებზე ვადა-  
დის (მემკვიდრეობით ტრაქისია).

ვარდაცვალი მემკვიდრის ეს უფლება შეი-  
ძლება განხორციელდეს მისი მემკვიდრეების მიერ  
სამკურთხოს მიღების ვადაშიც დარჩენილი ნის ვან-  
მავლობაში, საერთო სალურველზე; თუ ვადაშიც

დამარჩენილი დრო სამ თვეში ნიკლებია, მაგრა  
თვემდე უნდა გაგრძელდეს.

ეროვნული

ტექსტები

მცხ 559. უფლებები მემკვიდრისა, რომელიც  
სამკვიდრო ქონების მფლობელი და  
მმართველი განდა სხვა მემკვიდრეების  
გამოცხადებაშიც

მემკვიდრეს, რომელიც სხვა მემკვიდრეების გა-  
მოქანდებას აჩ დაეცოდა და სამკვიდრო ქონების  
ფლობას და მართვას შეუღვა, არა იქნა უფლება  
განკარგოს (გაყიდოს, დაავიროვოს და სხვ.), სამ-  
კვიდრო ქონება, ვიდრე სამკვიდროს გახსნის დღი-  
დან ექვსი თვე გავიდოდეს ან მემკვიდრეობის უფ-  
ლების მოწმობას მიიღებდეს.

აღნიშნული ვადის გასცელამდე ან მემკვიდრეო-  
